წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პირველი ეტაპის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს შედეგს. ანგარიშში გამოვლენილია თუ რომელი ქმედებები იქნა განხორციელებული ძველი მენეჯმენტის გეგმიდან, და რომელი არ განხორციელებულა (და მისი განუხორციელებლობის მიზეზი, თუ ამის დადგენა შესაძლებელია) და რა გააკეთდა ვდტ-ის გრძელ ვადიანი მიზნების მისაღწევად (სტრატეგიული მიზნები). ანგარიში მომზადდა არსებული ინფორმაციის გამოყენებით. წინამდებარე ანგარიში გამოყენებული იქნება იმ სტრატეგიისა და ქმედებების განსაზღვრავად, რომელიც შეტანილ იქნება ახალ მენეჯმენტის გეგმაში. ის დოკუმენტები, რომლიდანაც სამუშაო ჯგუფმა მოიპოვა საჭირო ინფორმაცია მოცემულია დანართ 1-ში.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია:

- წინა მენეჯმენტის გეგმაში აღწერილი ფასეულობების, ზეწოლების და საფრთხეების, ასევე შემაფერხებელი ფაქტორების მოკლე მიმოხილვა (თავი 2);
- წინა მენეჯმენტის გეგმის საერთო მიზნის (ხედვის), სტრატეგიული მიზნების და სივრცული დაგეგმვის კონცეფციის მიმოხილვა (თავი 3);
- წინა მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიებისა და ქმედებების განხორციელების მდგომარეობა(თავი 4);
- წინა მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდში მიღებული შედეგების შეფასება (თავი 5).

ანგარიშში ყველგან, სადაც მითითებული იქნება “მენეჯმენტის გეგმა” იგულისხმება წინა - პირველი მენეჯმენტის გეგმა, თუ იგი არ იქნა სხვაგვარად დაკონკრეტებული.

ანგარიშში გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურა:

ვდს	გარემოს დაცვისა სამინისტრო
დტს	დაცული ტერიტორიების სააგენტო
ვდტ	ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები
ვდტა	ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
ვეპ	ვაშლოვანის ეროვნული პარკი
ვსნ	ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი
სდტგპ	საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი
EU	ევრო კავშირი
FFI	ფაუნა და ფლორა ინტერნეიშენალი
GEF	გარემოსდაცვითი გლობალური ფონდი
GIZ	(Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GIZ SMBP	GIZ ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროექტი
GPADP	საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
METT	მენჯემენტის ეფექტურობის საკონტროლო ინდიკატორები
RAPPAM	დაცული ტერიტორიების სწრაფი შეფასება და მართვის პრიორიტეტულობა
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
US DoI ITAP	ამერიკის შეერთებული შტატების შინაგანი დეპარტამენტის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამა
UNFCCC	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
WB	მსოფლიო ბანკი

2. წინა მენეჯმენტის გეგმაში აღწერილი ფასეულობების, ზეწოლების, საფრთხეებისა და შემაფერხებელი ფაქტორების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე თავში მოცემულია წინა მენეჯმენტის გეგმაში აღწერილი იმ ფასეულობების, ზეწოლების, საფრთხეებისა და შემაფერხებელი ფაქტორების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც წარმოადგენდნენ წინა მენეჯმენტის გეგმაში გაწერილი სტრატეგიებისა და ქმედებების განსაზღვრის საფუძველს.

2.1 ფასეულობები

2.1.1 ეკოლოგიური ფასეულობები

ვღტ მოიცავს საქართველოში შემორჩენილი ღვიის (*Juniperus*) ნათელი კორომების დიდ ნაწილს, საქართველოს საკმლის ხის (*Pistacia*) ნათელი ტყეების მნიშვნელოვან ნაწილსა და ნახევრად უდაბნოსა და სტეპების მცენარეული ფორმაციების მნიშვნელოვან ფართობებს.

მაშინ, როცა წინა მენეჯმენტის გეგმა იქნა შემუშავებული, ღვიის (*Juniperus*) და ღვიიან/საკმლისხიანი (*Juniperus/Pistacia mutica*) და ქსეროფიტების ფორმაციები არეულების ჰაბიტატში კარგად იყო შენახული, საკმლის ხის (*Pistacia mutica*) ფორმაციებიც სტეპებისა და ბუჩქების ჰაბიტატში კარგ ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ნახევრად უდაბნოსა და სტეპების ფორმაციები ნაწილობრივ დეგრადირებულ და ნაწილობრივ კარგ მდგომარეობაში იყო. მდინარე ალაზანის გასწვრივ დაცული ჭაღის ტყეები წარმოადგენენ წარსულში ფართოდ გავრცელებული ჰაბიტატის ტიპისნაშთებს, რომლებიც ეხლა ფრაგმენტულად და იზოლირებულად არის წარმოდგენილი.

ვღტ-ში ბინადრობს ბევრი იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფაუნის წარმომადგენელი (მაგ. ჯიქი (*Panthera pardus tuliana*), აფთარი (*Hyaena hyaena*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), წავი (*Lutra lutra meridionalis*), მცირე მყივანა არწივი (*Aquila pomarina*), გველიჭამია არწივი (*Circaetus gallicus*), სვაი (*Aegypius monachus*), ორბი (*Gyps fulvus*), შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), სამხრეთული ბულბული (*Cercotrichas galactotes*), მათი უმეტესობა არიდული ეკოსისტემების ტიპური წარმომადგენელია. მურა დათვი (*Ursus arctos*) ბინადრობს ამ ტერიტორიაზე. აქ ძუძუმწოვრების სიხშირე საქართველოში ყველაზე მაღალია. სხვაგან ამდენი მტაცებლის თანაცხოვრება იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

მდინარე ალაზანი ქვირითობის ადგილია იშვიათი თევზის სახეობებისათვის ლოქო (*Silurus glanis*); კობრი (*Cyprinus carpio*); წითელტუჩა ჭერეხი (*Aspius aspius taeniatus*); შამაია (*Chalcalburnus chalcoides*). ვაშლოვანი გამოირჩევა რეპტილიების სიხშირითა და სიმდიდრით მთელ საქართველოში. ვღტ არის კავკასიაში ერთადერთი ადგილი, სადაც ხვლიკი აზიური შიშველთვალა (*Ablepharus pannonicus*) ბინადრობს. რეპტილიის სახეობა ამიერკავკასიური მცურავი (*Elaphe hohackeri*) არის კავკასიის ენდემი. ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი მსხვილი ძუძუმწოვრები, ადამიანთა ზემოქმედების გამო თავიანთ შესაძლო ბუნებრივ რიცხოვნობაზე ნაკლებია.

ვღტ-ის ბევრი მცენარე შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, მაგ. საკმლის ხე (*Pistacia mutica*), ქართული ზამბახი (*Iris iberica*), ეიპლერის ტიტა (*Tulipa eichler*), იორდასალაძი (*Paeonia maiko*), ველური კომში (*Cydonia oblonga*), ველური ვაზი (*Vitis*

sylvestris), ველური კაკალი (*Juglans regia*), კოწახური (*Barberis iberica*), ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum*), კავკასიური აკაკი (*Celtis caucasica*), ტურანგი (*Populus euphratica*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ქაცვი (*Hippophae rhamnoides*), ველური ბროწეული (*Punica granatum*). მცენარეთა 33 სახეობა წარმოადგენს კავკასიისათვის ენდემურს, ხოლო 2 სახეობა – საქართველოსათვის ენდემურს: ქართლური დიდილო *Psephelus carthalinicus*) და კახეთის მაჩიტა (*Campanula kachetica*).

ვდტ მოიცავს უნიკალურ გეოლოგიურ ფორმაციებსა და ლანდშაფტებს (მაგ. პანტიშარას ხეობის დინამიური ეროზიული ლანდშაფტი, დიდი ჩრდილის ქედი და უსახელო მთის მასივი) და საქართველოში ყველაზე კარგად შენახულ ღვიის არიდულ ნათელ ტყეებს. ამ ტყეების და არეულების ჰაბიტატის ცალკეული ოროგრაფიული რელიეფის ფორმაციის კომბინაცია ქვეყნისათვის უნიკალურია.

ვდტ-ის ორიგინალური მცენარეული ფორმაციები (არიდული ნათელი ტყე, ნახევრად უდაბნო, უდაბნო, სტეპი, ფოთლოვანი ტყე, ქვიანი ქსეროფიტები, ჭაღის ტყე, კირქვა) უნიკალური გენეტიკური საგანძურია. ვდტ არის აღმოსავლეთ საქართველოში კულტივირებული ბევრი კულტურის (ვაზი, კაკალი, კომში, მსხალი, ბროწეული, ლეღვი, შინდი (*Cornus mas*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), თუთა (*Morus*), შვრია (*Avena*)) სამშობლო.

2.1.2 სხვა ფასეულობები

ვდტ-ის ნაწილი თაობების განმავლობაში გამოიყენებოდა საზამთრო საძოვრებად საქონლისათვის, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში საძოვრად იყენებდნენ კახეთის რეგიონის მთებს. ვდტ-ის ტყეები წარმოადგენს საშუაშე მერქნის წყაროს. ვდტ-ებს აქვს მნიშვნელოვანი ტურისტული, სამეცნიერო კვლევითი და ეკო-საგანმანათლებლო ფასეულობა.

2.2 ზეწოლები და საფრთხეები

წინა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებამდე, თავად გეგმა შემდეგნაირად აფასებდა ზეწოლებსა და საფრთხეებს, ასევე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მენეჯმენტის მიზნების განხორციელებაზე:

2.2.1 ბუნებრივი ფაქტორებისაგან გამოწვეული ზეწოლები ან საფრთხეები

მენეჯმენტის გეგმაში არ იყო მითითებული ბუნებრივი ფაქტორებისაგან გამოწვეული ზეწოლა ან საფრთხე. გეგმაში მითითებულია, რომ გრძელ-ვადიანმა სამეცნიერო კვლევამ უჩვენა, რომ უახლოეს წლებში აღნიშნული მიდამოების ბუნებრივ პირობებში სერიოზული ცვლილებები არაა მოსალოდნელი. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების შემდგომ გაკეთებულმა კლიმატური ცვლილების პროგნოზმა აჩვენა, რომ ამ საუკუნის განმავლობაში საშუალო წლიური ტემპერატურა დედოფლისწყაროს რეგიონისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება, ხოლო წლიური ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება (გდს და UNDP, 2009)

2.2.2 ანთროპოგენული ფაქტორებისაგან გამოწვეული ზეწოლები ან საფრთხეები

დტ-ის ტერიტორიაზე არსებული ფაქტორები

ტყის ჭრა – არ იყო ფართოდ გავრცელებული მენეჯმენტის გეგმის მომზადების პერიოდში, ყველაზე მეტად დაზიანებული იყო დასახლებული პუნქტების შემოგარენი ტერიტორიები.

უკანონო ნადირობა – ყველაზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ფაქტორია, რომელიც უარყოფითად მოქმედებს პარკის ძირითად სახეობებზე.

უკანონო თევზაობა მდინარე ალაზანზე პირადი მოხმარებისათვის და კომერციული მიზნებისათვის.

გადაჭარბებული ძოვება, იწვევს სტეპებისა და ნახევრად უდაბნოს ჰაბიტატების სერიოზულ დეგრადირებას.

მსხვილი ძუძუმწოვრების ცხვრის მცველი ძაღლებისაგან დაფრთხობა.

საავტომობილო გზები, რომლებიც შუა ეკოსისტემებში გადის, და აფრთხობს სახეობებს, რომლებიც მეტად სათუნთნი არიან ნებისმიერი სახის ზემოქმედების მიმართ.

სასოფლო სამეურნეო მიწების ბოროტად გამოყენება, საძოვრების ხვნა მარცვლეულის მოსაყვანად, რომელიც იწვევს მასხასიათებელი ფიტოცენოზური სტრუქტურის დაკარგვას.

არაგანახლებადი რესურსების არასისტემური და არასტანდარტული მოპოვება, მაგ. თიხისა და ქვიშის მოპოვება მდინარე ალაზანის ნაპირებიდან და კირქვის მოპოვება დედოფლისწყაროს შემოგარენში. ეს უკანასკნელი საფრთხის წინაშე აყენებს ენდემურ მცენარეს კახეთის მაჩიტას (*Campanula kachetica*), ძალიან იშვიათ სახეობებს – ტუია (*Biota orientalis*) და ენდრონიკა (*Galium praemontanum*) ასევე არწივის ხეობის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე ბინადარ ორბებს (*Gyps fulvus*)

ხანძრები, რომელიც გაჩენილია ფერმერების მიერ აღებული მოსავლის ნარჩენების დასაწვავად და ასევე მწყემსების მიერ, რათა ამით ხელი შეუწყონ ბალახის შემდგომ ზრდას.

ნავთობის ძიება-მოპოვების სამუშაოებზე გაცემული ლიცენზია ვდტ-ის შიგნით არის მოქცეული.

დტ-ის ტერიტორიის გარეთ არსებული ფაქტორები

დაცული ტერიტორიების გარშემო მდებარე ადმინისტრაციული ცენტრებისა და სოფლების ნაგავსაყრელები და მწყობრიდან გამოსული საკანალიზაციო სისტემა, მრავალრიცხოვან სასოფლო-სამეურნეო ფერმებთან ერთად სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანთა გარემოსა და ცხოველთა ჰაბიტატებს.

სოფლის მეურნეობის ქიმიური ელემენტების არასწორი მოხმარება ზეგავლენას ახდენს მდინარე ალაზნის მთელ ჰიდროლოგიურ კომპლექსზე.

თევზჭერასა და ნადირობას განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა აქვს ვდტ-ის იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე და მდინარე ალაზნის ჭაღის ტყეებში ეკოსისტემების მდგრადობაზე.

მდინარის წყლის გამოყენება სოფლის მეურნეობის მიწების ირიგაციისა და ბაღების გასაშენებლად ამცირებს მდინარის წყლის დებიტს, ანგრევს ცხოველთა და მცენარეთა საცხოვრებელ გარემოს, რაც სერიოზულად ართულებს ალაზნის ჭაღის ტყეებისა და მისი ფაუნის დაცვას.

2.3 შემაფერხებელი ფაქტორები

სახელმწიფო საზღვარი, რომელიც ემთხვევა ვდტ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს, წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს ალაზნის ჭაღისა და ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების დაცვისათვის.

საკანონმდებლო ბაზაში არსებული წინააღმდეგობები, დაცული ტერიტორიების ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი იურიდიული მექანიზმის ექსკლუზიური ხასიათი იწვევს ურთიერთგამომრიცხავ ქმედებებს, მაგ. საზღვრის დაცვას აქვს უფლება ძალის მიერ აღკვეთოს ნებისმიერი გადაადგილება, მათ შორის დტ-ის რეინჯერების, მეორეს მხრივ რეინჯერები უფლებამოსილნი არიან დააკავონ ნებისმიერი, ვინც დტ-ის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე იმყოფება დტ-ზე, განსაკუთრებით თუ ისინი აღჭურვილნი არიან ცეცხლსასროლი იარაღით, თუნდაც ისინი იყვნენ საზღვრის დამცველები.

დაფინანსება. იმ დროისათვის, როდესაც წინა მენეჯმენტის გეგმა იქნა დასრულებული და დამტკიცებული, საჭირო დაფინანსება გაფართოებული და ახლად დაარსებული დაცული ტერიტორიების დამატებითი თანამშრომლებისათვის არ იქნა დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

3. მენეჯმენტის გეგმის მიმოხილვა

3.1 ზოგადი მიზანი და ამოცანები

მენეჯმენტის გეგმა მოიცავდა საერთო მიზანს - ხედვას (ვდტ-ის იდეალური მდგომარეობა, რისკენაც გამიზნული იყო ყველა ქმედება), ათ სტრატეგიულ მიზანს, რომელიც მთლიანად პარკის მართვის სახელმძღვანელოდ იყო შერჩეული, სივრცული დაგეგმვის (მენეჯმენტის რეჟიმებისა და ზონირების) კონცეფციასა და სტრატეგიებს და მათთან ასოცირებულ პროექტებს (ან ქმედებებს), რომლებიც ერთიანდებოდა პროგრამებად და საქმიანობების ცხრა სფეროდ იყო დაკომპლექტებული.

საერთო მიზანს (ხედვას) წარმოადგენდა: “არიდული და სემი-არიდული ეკოსისტემებისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტების, ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების ურდვევობის შენარჩუნება. აქ ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციების არსებობა ეფუძნება ეკოსისტემებში შეუღალხავად მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შენარჩუნებას. ბუნებრივი რესურსების ყოველგვარი მოხმარება ხორციელდება მდგრადი სახით. ტრადიციული მეცხვარეობისა და საძოვრების გამოყენების პრაქტიკა, ასევე ადამიანთა ნებისმიერი სხვა საქმიანობა სრულად ჰარმონიზირებულია ბუნებრივი ეკოსისტემების სტაბილურობის მოთხოვნასთან. ვეპ-ი უნდა იქცეს ისეთ ადგილად, სადაც ველური ბუნების პირველქმნილი მშვენიერება მუდმივად იქნება ვიზიტორის აღფრთოვანების მომგვრელი”.

სტრატეგიული მიზნები მოიცავდა ათ თემას (მიზნები სრულად მოცემულია მე-5 თავში)

- დაცვა
- აღდგენა
- ცოდნის გაუმჯობესება
- ცნობიერების ამაღლება
- სიამოვნება
- ტრადიცია
- შემოსავალი
- მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს შექმნა
- ეფექტის გავრცელება
- ალიანსი

მენეჯმენტის გეგმაში არ იყო დაკონკრეტებული ინდიკატორები სტრატეგიული მიზნების მიმართ განხორციელებული პროგრესის შესაფასებლად.

3.2 სივრცული დაგეგმვის კონცეფცია

წინა მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო ვლტ-ის შემდეგი კატეგორიები და ვაშლოვანის ეროვნული პარკის შიდა ზონები (რუკა, რომელზეც მითითებულია კატეგორიები და ზონები მოცემულია მენეჯმენტის გეგმის დანართში 1.3):

სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის მიზანიცაა შეინარჩუნოს თვითრეგულირებადი სემი-არიდული ეკოსისტემის ერთიანობა და ბუნებრივი პროცესები და ასევე განახორციელოს არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევები.

ეროვნული პარკში გამოიყოფა ბუნების მკაცრი დაცვის (ველური ბუნების) ზონა, ბუნების მართვადი დაცვის ზონა, ტრადიციული გამოყენების ზონა, ადღენის ზონა, ადმინისტრაციის ზონა და ვიზიტორთა ზონა. მენეჯმენტის გეგმაში განსაზღვრულია თითოეული ზონისათვის დასაშვები და აკრძალული ქმედებები. (მენეჯმენტის გეგმის თავი 4.3.2)

სამი ბუნების ძეგლი (მენეჯმენტის გეგმის თავი 4.3.3).

დამხმარე ზონა, რომელსაც უნდა ჰქონოდა არაოფიციალური თანამშრომლობის ზონის სახე. დამხმარე ზონის მიზანს წარმოადგენდა გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების ქმედებების ინტეგრაცია, რომელიც რეალიზებული უნდა ყოფილიყო მიწათსარგებლობის ოპტიმალური სისტემის შექმნით, განახლებადი რესურსების რაციონალური გამოყენებით და ეკონომიკური ქმედებების ბუნებრივ გარემოზე შედეგების მონიტორინგით. (მენეჯმენტის გეგმის თავი 4.3.4)

3.3 მართვის სტრატეგიები და პროგრამები

მენეჯმენტის გეგმაში განსაზღვრულია მენეჯმენტის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავენ მთელ რიგ ქმედებებს ერთი ან მეტი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. მენეჯმენტის სტრატეგიები დაჯგუფებულ იქნა საქმიანობის ცხრა განსხვავებული სფეროს მიხედვით, რომელიც ასევე გამოყენებული იყო განსახორციელებელი პროგრამებისათვის. მენეჯმენტის პროგრამებში სტრატეგიები ჩამოყალიბებული იყო კონკრეტულ განსახორციელებელ პროექტებში, რომელსაც თან ერთვოდა საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა და მითითებული ჰქონდა პრიორიტეტულობა. სტრატეგიები და პროგრამები ორგანიზებულია საქმიანობების შემდეგ სფეროებში:

- ადმინისტრაცია
- ინფრასტრუქტურა
- შესაძლებლობების გაძლიერება და ტრენინგი
- საზოგადოებასთან ურთიერთობა (ბიზნეს ურთიერთობების ჩათვლით)
- დამხმარე ზონის პროგრამა
- ვიზიტორთა მომსახურება
- ჰაბიტატებისა და სახეობების მენეჯმენტი (რესურსების მენეჯმენტის ჩათვლით)
- გარემოს დაცვა (კანონის აღსრულება, ძებნა და სამაშველო სამსახური)
- კვლევა, მონიტორინგი და გამოკითხვა

4. განხორციელების მდგომარეობა ქმედებების სფეროების მიხედვით

4.1 ადმინისტრირება

4.1.1 სტრატეგია (თავი 5.1)

ადმინისტრაციის საქმიანობის სფეროში სტრატეგიის მიზანი იყო პარკის კვალიფიციური ღირექციის შექმნა, რომელიც იმოქმედებდა საქართველოს კანონების მიხედვით და ექნებოდა უნარი გამკლავებოდა პარკის თანამედროვე მენეჯმენტის წინაშე არსებულ სირთულეებს. ადმინისტრაციას უნდა განეხორციელებინა მონიტორინგი, შეფასება და ადაპტაციის სისტემები: უნდა შემუშავებულიყო სტანდარტული პროცედურა მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგისთვის წლიურ სამუშაო გეგმებთან თანხვედრაში. წლიურ სამუშაო გეგმაში განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ეტაპები და ორიენტირები ვდტ-ის მენეჯმენტის ფარგლებში განსახორციელებელი თითოეული ქმედებისათვის. თითოეული ქმედების მიზანთან მიმართებაში მიღებულ შედეგზე განხორციელდებოდა მონიტორინგი, დაემატებოდა შენიშვნები და შეიქმნებოდა შესაბამისი ანგარიში. შეფასების ანგარიში გამოყენებულ იქნებოდა შემდგომი წლის სამუშაო გეგმის შემუშავების საფუძველად.

უნდა დაფუძნებულიყო მრჩეველთა საბჭო (საკონსულტაციო საბჭო), რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ვდტ-ს ქმედებებისათვის სტრატეგიების განსაზღვრაში, იმუშავებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, დამხმარე ზონის სხვადასხვა მიწათმოსარგებლეებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც გამოხატავდნენ თანამშრომლობის შესაბამის ინტერესს, ასევე საბჭოს უნდა დაემყარებინა კავშირები ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან.

ვდტ-ს დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო კომბინირებულად - სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტიდან და ვდტ-ის მიერ გენერირებული შემოსავლებიდან, რომელიც შედგებოდა დტ-ზე შესვლის საფასურისგან, ეკო-ტურიზმისგან შემოსული თანხისგან, ღამის გასათევი საკარგე ადგილის საფასურიდან, კონცესიების შემოსავლებიდან, ხმელი შემოსავლების საფასურიდან და ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოძიებული გარკვეული თანხებისგან.

4.1.2 პროგრამა

მენეჯმენტის გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი ქმედებები (ღონისძიებები) ადმინისტრირების სფეროში (ე.წ. ადმინისტრაციის პროგრამა):

შტატი და ხელფასები (თავი 6.1.1) (პრიორიტეტი მაღალი) ქმედითუნარიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნა 44 საშტატო ერთეულით (იხ. საშტატო თანამდებობების ცხრილი 6.1.1. თავში და დაგეგმილი სტრუქტურა სამუშაოს აღწერით მენეჯმენტის გეგმის დანართ 5-ში).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მოწყობილობის შესყიდვა (თავი 6.1.2) (პრიორიტეტი მაღალი) მოწყობილობების დაკონკრეტება და შესყიდვა ვდტ ეფექტური ფუნქციონირებისათვის და მათი გამოყენების წესების დადგენა.

ზოგადი ადმინისტრირება (თავი 6.1.3) (პრიორიტეტი არ არის მინიჭებული). ამ პროგრამის მიზანი იყო, დტ ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირების საოპერაციო ხარჯების დაფინანსება ეფექტური მენეჯმენტისათვის, ორგანიზაციისათვის, სახელამხედველო ქმედებებისათვის, კონსულტაციებისა და კოორდინირებისათვის. ამ

თანხის დიდი ნაწილი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საწვავისა და ოფისის ხარჯების დასაფარავად.

წლიური სამუშაო გეგმების მომზადება (თავი 6.1.4) (პრიორიტეტი მაღალი). ყოველწლიური ყოველწლიური საოპერაციო გეგმის მომზადება, მონიტორინგის გეგმისა და ბიუჯეტის ჩათვლით.

წლიური ანგარიში (თავი 6.1.5) (პრიორიტეტი მაღალი). ვდტ-ის ადმინისტრაციის საქმიანობის დოკუმენტირების მექანიზმის შექმნა; სამეცნიერო სამუშაოებისა და მონიტორინგის დოკუმენტირება.

თვითმონიტორინგი და მენეჯმენტის ეფექტურობა (თავი 6.1.6), მოიცავს:

დეტალური ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას (თავი 6.1.6.1) (პრიორიტეტი მაღალი) – დტ ადმინისტრაციის ზოგადი მენეჯმენტის ეფექტურობის სტანდარტული მონიტორინგი და შეფასება;

ყოველწლიური სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგი (თავი 6.1.6.2) (პრიორიტეტი მაღალი) ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების გამოვლენის მიზნით, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ეროვნული პარკის შექმნით. კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ვდტ და მისი ადმინისტრაციის მიმართ.

მენეჯმენტის ეფექტურობაზე დაკვირვების მექანიზმის ყოველწლიური გამოყენება (თავი 6.1.6.3) (პრიორიტეტი მაღალი) და

წელიწადში ორჯერადი მონიტორინგი საკონცესიო საქმიანობაზე (თავი 6.1.6.4) (უნდა დაიწყოს მას შემდგომ, როცა მოხდება კონცესიით გაცემა).

ექსპლიატი მენეჯმენტის გეგმის განხილვა და კორექტირება (თავი 6.1.7)

4.1.3 განხორციელების მდგომარეობა

პერსონალი

ვდტ-ს ჰყავს უფრო ნაკლები თანამშრომელი, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო წინა მენეჯმენტის გეგმით და ვიდრე ეს საჭიროა ეფექტური ფუნქციონირებისათვის, თუ მითუმეტეს გავითვალისწინებთ უფლებამოსილების ცენტრალიზაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წელს. ტრენინგებისა და რესურსების საჭიროებებმა, რომელიც შეფასებულ იქნა FFI და NACRES მიერ 2009 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის ფარგლებში, გამოავლინა დამატებითი თანამშრომლების საჭიროება, კერძოდ: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სპეციალისტი, ინტერპრეტაციის სპეციალისტი, ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სპეციალისტი, ცხრა დამატებითი რეინჯერი, მოვლა-შენახვის გუნდი (როგორც ეს თავიდანვე მითითებულ იყო მენეჯმენტის გეგმაში) (NACRES and Fauna and Flora International, 2009). საჭიროებების შეფასების ფარგლებში ასევე გამოვლენილ იქნა ტრენინგის განხორციელების საჭიროებებიც, რომლებიც მითითებულია ქვემოთ, ნაწილში 4.3.3. ბუნებრივი რესურსების სპეციალისტის განთავისუფლებული თანამდებობა შევსებულ იქნა 2010 წელს ვეტერინარ-სპეციალისტით, ქურციკის რეინტროდუქციის პროგრამის განხორციელების მიზნით.

აღჭურვილობა

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის (GEF/WB) ფარგლებში შესყიდულ იქნა ყველა ის აღჭურვილობა, რომელიც საჭირო იყო ფუნქციონირებადი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის დასაარსებლად. საჭიროების შეფასებამ, რომელიც განხორციელდა FFI და NACRES დახმარებით (იხ. ზევით) გამოავლინა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროგრამის ფარგლებში შესყიდული აღჭურვილობაზე დამატებით და აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესყიდული უკვე შესაცვლელი შემდეგი სახის მოწყობილობა: რადიო საკომუნიკაციო საშუალებები, პირველადი დახმარების აღჭურვილობა, ანტიტოქსინი ქვეწარმავლის ნაკბენის საწინააღმდეგოდ, საველე სამედიცინო აღჭურვილობა, კოდოების საწინააღმდეგო საშუალება, ნიხბები, ბარები, წერაქვები და ხერხები, ფოტო-მახეები, ფორმები ხელით მუშაობისათვის, ციფრული ფოტოაპარატები, შეშის ღუმელები, ელექტრო-გენერატორები, მანქანების სარეცხი ტექნიკა, ბენზო-ხერხები, კვადროციკლები რეინჯერებისათვის, მანქანა რესურსებით სარგებლობის სპეციალისტისათვის, ტელესკოპი, ბინოკლები, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა.

სამუშაო გეგმები, მონიტორინგი და განხილვა

წინა მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული დაგეგმვის, მონიტორინგისა და განხილვის პროცედურები სრულად არ განხორციელებულა. მენეჯმენტის ეფექტურობის რეგულარული შეფასება, რომლის დროსაც გამოყენებული იყო თანამიმდევრული მეთოდოლოგია არ განხორციელებულა: შეფასება, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა METT განხორციელდა 2005 წელს, ხოლო შეფასება RAPPAM გამოყენებით განხორციელდა 2008 წელს. ასევე სისტემატურად არ განხორციელებულა დაგეგმილი შედეგებისა და ქმედებების მიმართ პროგრესის შეფასება და შეფასების შედეგები არ იქნა ასახული წლიური დაგეგმვის ციკლში. ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იქნა განხორციელებული პროცედურები მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არ იყო გათვალისწინებული დტს-ს სტანდარტული პროცედურებით. მეორე მიზეზი არის შესაბამის პოზიციებზე თანამშრომლების ნაკლებობა, საჭირო თანამდებობების არ არსებობა და შესაბამისი გამოცდილების არ ქონა.

დაფინანსება

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დასრულების შემდგომ ვდტ-თვის გამოყოფილი დაფინანსება საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ბევრი მაღალი პრიორიტეტის მქონე ქმედება, რომელიც მოიცავდა საველე კვლევებს, მონიტორინგსა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. დტ-ზე შესასვლელი გადასახადი, რომელიც შემოდებულ იქნა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის დახმარებით ტურ-ოპერატორების თხოვნის შედეგად გაუქმდა, რის შედეგად შემოსავალი, და შესაბამისად თანხები, რომლებსაც უნდა დაეფარა საოპერაციო ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიდრე ეს პროგნოზირებული იყო მენეჯმენტის გეგმაში.

საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო

(დაარსებულ იქნა ვდტ-ის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო. მისი წევრები არიან: დტს-ს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები (2), ვდტ ადმინისტრაციის თანამშრომლები (2), დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (1) და სასახდგრო პოლიცია (1), IUCN სამხრეთ კავკასიის პროგრამის ოფისთან

დაკავშირებული ექსპერტები (1), IUCN (1) და საქართველოს უნივერსიტეტი (1). დტს-ს ჩანაწერების შესაბამისად საბჭო შეიკრიბა ერთხელ, 2009 წლის ნოემბერში. დტს-ს სტანდარტული წესებისა და პროცედურების შესაბამისად კი დტ-ის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო უნდა შეიკრიბოს სულ მცირე ერთხელ მაინც წელიწადში.

4.2 ინფრასტრუქტურა

4.2.1 სტრატეგია და პროგრამა (თავეები 5.2 და 6.2)

წინა მენეჯმენტის გეგმაში საქმიანობის ეს სფერო მოიცავდა დტ-ის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის, ასევე დაცვისა და ვიზიტორთა მომსახურებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას (იმის გათვალისწინებით თუ რა გავლენა აქვს ინფრასტრუქტურას ველურ სამყაროზე, გარემოს მყუდროების დაფრთხობაზე და ლანდშაფტებისა და პრაქტიკული კრიტერიუმების ჰარმონიის დარღვევაზე, როგორცაა გზებზე მისადგომობა, წყლებთან მისადგომობა, პანორამული გადასახედები). სტრატეგია ითვალისწინებდა გარემოსადმი უსაფრთხო, ადგილმდებარეობისადმი სენსიტიური და დამოუკიდებელი საშუალებების განვითარებას, შემოთავაზებული იყო არა დიდ მასშტაბიანი შენობები, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტისათვის.

მენეჯმენტის გეგმის ინფრასტრუქტურის ფარგლებში, დაკონკრეტებული იყო შემდეგი ქმედებები (პროექტები):

ვიზიტორთა და ადმინისტრაციული ცენტრის დიზაინი და მშენებლობა („ვაშლოვანი“) (6.2.1) (პრიორიტეტი მაღალი). ვიზიტორთა და ადმინისტრაციული ცენტრის გარდა დაგეგმილი იყო 10 ორ-ადგილიანი თავშესაფრის მშენებლობა, ცირკულარული ბილიკები თავისი ასოცირებული ინფრასტრუქტურით, საკემპინგე ადგილები 30 ადამიანისათვის, საპიკნიკე ადგილები საპიკნიკე მაგილით, ადგილი კოცონისათვის, ტუალეტები და სანაგვე ურნები, ვდტ ადმინისტრაციის ავტოფარეხი და სახელოსნო.

ვდტ ადმინისტრაციისა და საინფორმაციო ცენტრის “ზორნაბუჯი” მშენებლობა დედოფლისწყაროში (6.2.2.) (პრიორიტეტი მაღალი)

ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა (6.2.3. მოიცავს სრულ ჩამონათვალს) (პრიორიტეტი მაღალი)

სამსახურებრივი ინფრასტრუქტურის შექმნა (6.2.4. მოიცავს სრულ ჩამონათვალს) (მაღალი პრიორიტეტი)

დემარკაცია (6.2.5) (პრიორიტეტი მაღალი). ვდტ საზღვრების დემარკაცია, მიწის კადასტრში მონაცემთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა.

ძველი ინფრასტრუქტურის ნარჩენების გატანა დაცული ტერიტორიებიდან (6.2.6) (პრიორიტეტი საშუალო) ფერმების რელოკაციის შემდგომ დტ-დან ძველი ფერმის შენობის ნარჩენების გატანა

დამატებითი წლიური ხარჯების გაწევა (6.2.7) (პრიორიტეტი მაღალი) ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, მანქანების, ცხენების, საკანცელარიო საქონლის და გაუთვალისწინებელი საოპერაციო ხარჯების დაფარვის უზრუნველყოფა.

4.2.2 განხორციელების მდგომარეობა

ყველა ის ინფრასტრუქტურა, რომელიც დაგეგმილი და აუცილებელი იყო ვდტ-ის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აშენებულია. გარკვეული კომპონენტების განხორციელება საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის

ფარგლებში ვერ მოხერხდა, მაგ. ვიზიტორთა ცენტრ “ვაშლოვანის” მშენებლობა პარკის ტერიტორიაზე და ხერგილების მოწყობა. იმ ეტაპისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები გადამისამართებულ იქნა სხვა ქმედებებისათვის ფინანსების არ ქონის გამო. (ძირითადი მიზეზი ამისა იყო ინფლაცია და სავალუტო კურსის სხვაობა და ასევე, ახალი გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ გამოვლენილი ახალი პრიორიტეტები).

საჭიროებების შეფასებამ, რომელიც განხორციელდა FFI და NACRES დახმარებით 2009 წელს (იხ. ზემოთ) გამოავლინა გარკვეული დამატებითი საჭიროებები: ვიზიტორთა ნიშნები და დაფები, ქურციკისათვის შემოდობილ ადგილებზე თავშესაფრები (ღია ვოლიერების მშენებლობა განხორციელდა 2009 წელს, მაგრამ საჭიროა დამატებითი ინფრასტრუქტურა ქურციკების პოპულაციის აღდგენის უზრუნველსაყოფად, რომელიც გულისხმობს რეინჯერებისათვის და მეცნიერებისათვის მრავალფუნქციურ სადგურსა და ვეტერინალურ კლინიკას), ხუთი ახალი ჭა სუფთა წყლის ამოსადებად და 6 შლაგბაუმი/მოძრაობის საკონტროლო სისტემა ვდტ-ის შესასვლელთან.

გარკვეული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და ფუნქციონირება გაუარესდა შესაბამისი ფინანსების არ ქონით გამოწვეული უყურადღებობის გამო. მაგ. წყალსადენის სისტემა დტ-ის შენობებში. საველე ტუალეტები კარგად არ ფუნქციონირებს: წყლის მიწოდება გაანგარიშებული იყო წვიმის წყალზე, მაგრამ რეალობამ აჩვენა, რომ საინჟინრო და არქიტექტურული გათვლა ამ შემთხვევაში არასწორი იყო.

ფერმის შენობების დემონტაჟი ჯერ არ დაწყებულა, რადგანაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა დტ-ის ფარგლებში არსებული ფერმების განსახლება სხვა ტერიტორიაზე.

ვდტ ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი თანხები არასაკმარისია მიმდინარე ხარჯების დასაფარად.

4.3 კვალიფიკაციის ამაღლება

4.3.1 სტრატეგია და პროგრამა (თავი 5.3 და 6.3)

საქმიანობის ამ სფეროში გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობდა პროფესიონალიზმის დონის ამაღლებას. ტრენინგის პროგრამა მოიცავდა ვდტ ადმინისტრაციის ყველა შესაბამის ფუნქციას.

მენეჯმენტის გეგმაში შესაძლებლობების გაძლიერებისა და ტრენინგის პროგრამის ფარგლებში დაკონკრეტებული იყო შემდეგი ქმედებები (პროექტები ან ღონისძიებები):

გამოცდილების გაზიარება (თავი 6.3.1) (პრიორიტეტი მაღალი). საზღვარგარეთ პარტნიორების იდენტიფიცირება, პარტნიორი ორგანიზაციების მსოფლიო ქსელის შექმნა, საერთაშორისო გამოცდილების გაცვლის პროგრამების შემუშავება და განხორციელება აშშ ეროვნული პარკების და სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

ვდტ-ის თანამშრომელთა (რეინჯერთა სამსახურის, რესურსების მართვის, ინტერპრეტაციის, გარე ურთიერთობების, კონტრაქტების, ბუღალტერიის და სხვა) სპეციალურ კურსებზე დასწრება და კვალიფიკაციის ამაღლება (6.3.2) (პრიორიტეტი მაღალი). თემები: აღმკვეთი ღონისძიებები, ძებნა, სამაშველო და პირველადი

დახმარების ღონისძიებები, იარაღისა და დაცვის საშუალებების გამოყენება, სამონიტორინგო საქმიანობა.

სწავლება სამუშაოდან მოუწყვეტლად (6.3.3) (პრიორიტეტი მაღალი). ვდტ-ის ადმინისტრაციისათვის ტრენინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება (ინგლისური ენის და გის- პროგრამის შესწავლა)

4.3.2 განხორციელების მდგომარეობა:

გამოცდილების გაზიარება

ვდტ-ის თანამშრომლებს არ მიუღიათ მონაწილეობა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პროგრამაში. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თუშეთის დტ-ის თანამშრომლებმა (US DoI ITAP პროგრამის ფარგლებში)

ტრენინგები

ვდტ-ის თანამშრომლებისათვის განხორციელებულ იქნა ტრენინგები მენეჯმენტის გეგმაში მითითებულ ყველა საკითხზე (WB/GEF – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, US DoI-თან პარტნიორობით). შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა, რომელიც განხორციელდა US DoI ITAP და GIZ მიერ (და მისი განხორციელება გაგრძელდება) წარმოადგენდა მასშტაბურ დახმარებას, რომელიც დტ-ის ეფექტური მენეჯმენტის ყველა სფეროზე იყო მიმართული (ტექნიკური და ინსტიტუციური). გარკვეულმა თანამშრომლებმა, რომლებმაც გაიარეს აღნიშნული ტრენინგი, დატოვეს ვდტ, ვდტ –ის ახალ თანამშრომლებს არ აქვთ შესაბამისი ტრენინგი გავლილი. საჭიროებების შეფასებამ, რომელიც განხორციელდა FFI/NACRES დახმარებით 2009 წელს (იხ. ზემოთ) გამოავლინა ტრენინგის საჭიროებები შემდეგ საკითხებში: საძოვრების მონიტორინგი, შესაბამისი კომპეტენციების სტანდარტების შემუშავება, გარემოს დაცვითი განათლება, რეინჯერთა შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამაშველო სამსახურის უზრუნველყოფა, იარაღები, დაჯავშნის სისტემა, კონცესიური მარკეტინგი, ინტერპრეტაციის უნარები, გის-ი და მონაცემთა შეტანა, გარემოს ინტერპრეტაცია, საძოვრების გამოკვლევა, საძოვრების მენეჯმენტი, ფოტოგრაფია, ადამიანებთან ურთიერთობა, ხანძარ საწინააღმდეგო შესაძლებლობების გაუმჯობესება.

4.4 საზოგადოებასთან ურთიერთობები (ბიზნეს ურთიერთობების ჩათვლით)

4.4.1 სტრატეგია (თავი 5.4)

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ბიზნეს ურთიერთობის სფეროში წინა მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო შემდეგი სტრატეგია: (i) საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოვლის მომცველი პროგრამის შექმნა; (ii) კონცესიები; (iii) საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოვლისმომცველი პროგრამა მოიცავს ოთხ ელემენტს:

- ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობების დამყარება ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებით: რადიოთი, ტელევიზიით, პრესისა და პერიოდულად განახლებული ვებ-გვერდის

საშუალებით, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კონსერვაციული თემების რეკლამირება, ინფორმირება და სამეცნიერო მასალების მიწოდება. უნდა ასევე დაბეჭდილიყო კალენდრები, ბროშურები და რუქები. მომზადებულიყო აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები, მომხდარიყო მათი ჩვენება ვიზიტორთა შეხვედრებზე, სემინარებზე, შეკრების ადგილებზე, და მოთავსება საინტერპრეტაციო მასალის სახით ვიზიტორთა ცენტრებში. სემინარები, სამუშაო შეხვედრები უნდა გამართულიყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან. მომზადდებოდა მცირე ზომის ნივთები (მაისურები, ქუდები, ა.შ.), რომელზეც გამოსახული იქნებოდა დაცული ტერიტორიების ემბლემა. შეიქმნებოდა ადგილობრივი რადიო სადგური.

- **მთავრობისა და პარლამენტის მაღალჩინოსნებისა და საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების წარმომადგენლების ვიზიტი.**
- **განსაკუთრებული ღონისძიებების მოწყობა, რომელიც მოიცავს:**
 - გამოფენებს, სადაც მოხდებოდა ტრადიციული პროდუქტების რეკლამირება, და რომელიც მოეწყობოდა ყოველწლიურად დედოფლისწყაროს საინფორმაციო ცენტრში და წელიწადში ორჯერ მლაშე წყლის ვიზიტორთა ცენტრში.
 - ქიზიყის მოსავლის ფესტივალი, რომელიც მოეწყობოდა ყოველი წლის შემოდგომაზე.
 - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნის აღმნიშვნელი ღონისძიებები – მაგ. ხეების დარგვა, და დაბინძურებული ტერიტორიების გასუფთავება- გაიმართებოდა ყოველ წლიურად სტუდენტებისათვის. .
 - კონკურსები სკოლის მოსწავლეებს შორის და ვიზიტორებს შორის.
 - სათავგადასავლო ჯომარდ შოუ გაიმართებოდა წელიწადში ერთხელ.
 - წელიწადში ორჯერ ფესტივალები ვაშლოვანის ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრებში.
 - ყოველ წლიურად უფასო შესვლა ვდტ-ზე 30 ბავშვისათვის (უსახსრო ოჯახებისთვის).
- **საპარტნიორო თანამშრომლობის დაწყება.** შეთანხმებები მესაზღვრეებთან, ადგილობრივ მთავრობასთან, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან და ახერბაიჯანის ხელისუფლებასთან, პარკის მენეჯმენტში მონაწილეობის უზრუნველყოფა (კონცესიები), ერთობლივი პროექტების განხორციელება.

(კონცესიები). წინა მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ვდტ-ს მიერ შეთავაზებულ იქნებოდა კონცესიის ორი კატეგორია: (i)პარკის ძირითადი საშუალებების გაცემა (ვდტ-ის საკუთრებაში არსებული შენობა, ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრში არსებული საკვები ობიექტი) და (ii)მეწარმეებისათვის ნების დართვა განხორციელებინათ მომსახურების ის სახე, რომელიც არ იყო დამოკიდებული ვდტ-ს ძირითად საშუალებებზე (მაგ. საცხენოსნო ტურები, მეგზურის მომსახურება, სათავგადასავლო ტური).

საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმას, რათა მხარი დაეჭირა სკოლებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე გარემოსდაცვითი და საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და უზრუნველყო ვიზიტორებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. ბავშვებში გარემოს დაცვის ცნობიერების ასამაღლებლად გათვალისწინებული იყო ექსკურსიების მოწყობა ვდტ-ზე. პროგრამა მოიცავდა ტურიზმის მარკეტინგის შემდეგ ქმედებებს: ვიზიტორთა მოსაზიდად ინფორმაციის გავრცელება, რეგიონალური და ეროვნული მასშტაბით

რეკლამირება სახელმწიფო და კომერციულ სატელევიზიო არხებზე, თემატურ და პოპულარულ გაზეთებსა და ჟურნალებში, ვებ-გვერდის შექმნა, ეროვნულ და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა, რეკლამის განთავსება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბროშურებში.

4.4.2 პროგრამა (პროექტებისა და ქმედებების მიხედვით) და მისი განხორციელების მდგომარეობა

ინფორმაციის გავრცელება (6.4.1):

საზოგადოებასთან ურთიერთობა მასმედიის საშუალებით (6.4.1.1) (პრიორიტეტი მაღალი):

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

რეგიონისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინფორმირება ვებ-ის მიზნებისა და ქმედებების შესახებ, რაც აამაღლებს საჯარო ცნობიერებას დაცული ტერიტორიების არსზე და ჩართავს მოსახლეობას გარემოსდაცვის რეგიონალური პრობლემის გადაწყვეტაში.

განხორციელების მდგომარეობა:

ზოგადად ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ცენტრალური სატელევიზიო არხის მეშვეობით და ეს ორგანიზებულია დტს-ს ცენტრალური აპარატის მიერ. რამდენჯერმე გავრცელებულ იქნა ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებების შესახებ ადგილობრივი მასმედიის საშუალებით. დაგეგმილი ადგილობრივი რადიო სადგური არ შექმნილა: მას არ ჰქონდა მინიჭებული მაღალი პრიორიტეტი და ასევე ვერ მოიძებნა საჭირო თანხები.

მასალების მომზადება მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების ასამაღლებლად (თავი 6.4.1.2) (პრიორიტეტი მაღალი):

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორთა უზრუნველყოფა ინფორმაციით ვებ-ის ფლორის, ფაუნისა და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების შესახებ (მაგ. ბროშურები, ბუკლეტები, კალენდრები, პლაკატები, საფოსტო ბარათები, საინფორმაციო ცნობარი).

განხორციელების მდგომარეობა:

თავდაპირველად, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, ვებ ადმინისტრაციამ დაბეჭდა საინფორმაციო ბროშურები, კალენდრები, საფოსტო ბარათები, გზამკვლევები, შეისყიდა მაისურები და გაავრცელა მასალა მოსახლეობაში. შემდგომ დტს-ს მიერ მომზადებულ იქნა სხვადასხვა სახის ბროშურები, წიგნები, მაისურები, კალენდრები, ფილმები და სხვა მასალა, რომელიც გადაეგზავნა ვებ ადმინისტრაციას. 2007 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფილმები ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთისა და ზოგადად დაცული ტერიტორიების ქსელის შესახებ და მსგავსი ვიდეო-მასალა გავრცელებულ იქნა. ვებ-ის ადმინისტრაციის წარმომადგებლებმა გაავრცელეს დტს-ს მიერ მიწოდებული საინფორმაციო ბროშურები, კალენდრები, წიგნები და ა.შ. ადგილობრივ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

ვდტ-ის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება (თავი 6.4.1.3) (პრიორიტეტი მაღალი)
დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

ტურისტული გზამკვლევების, ბუკეტების, ვიდეო და აუდიო მასალის, ფოტო და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელება საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრებში. რეკლამების განთავსება რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, სახელმწიფო და კომერციულ სატელევიზიო არხებზე, თემატურ და საზოგადოებრივ გაზეთებსა და ჟურნალებში, ვებ-გვერდის შექმნა, ეროვნულ და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე/ბაზრობებზე მონაწილეობა, ტურისტულ ბიზნესთან და საზოგადოებრივ სექტორთან თანამშრომლობა, მათ სარეკლამო პროგრამაში პარკის შესახებ ინფორმაციის ჩართვის მიზნით. რეკლამების განთავსება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კატალოგებში.

განხორციელების მდგომარეობა:

ტურიზმის მარკეტინგი განხორციელდა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, მაგრამ 2008 წელს უფლებამოსილების ცენტრალიზაციის შემდგომ მას ახორციელებს დტს-ს ცენტრალური აპარატი. დტს-მ მიიღო მონაწილეობა მთელ რიგ ეროვნულ თუ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ღონისძიებებში. თავდაპირველად შეიქმნა კონკრეტული ვებ-გვერდი www.vashlovanipa.ge მაგრამ ამჟამად იგი არ ფუნქციონირებს; ინფორმაცია ვდტ-ის შესახებ ვრცელდება დტს-ს ვებ გვერდის www.apa.gov.ge საშუალებით, რომელსაც მართავს დტს-ს ცენტრალური აპარატი.

სპეციალური ღონისძიებებისა და ვიზიტების მოწეობა (6.4.2):

სკოლის მოსწავლეთათვის ვდტ-ში ექსკურსიების მოწეობა (თავი 6.4.2.1) (პრიორიტეტი მაღალი):

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

პროგრამაში გათვალისწინებული იყო სტუდენტებისათვის სპეციალური სავიზიტო პროგრამები, საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან პარტნიორობის დაფუძნება, სავიზიტო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ძირითადი ფოკუსი ბავშვებისათვის მოწეობილი ექსკურსიების დროს გაკეთებული იყო (i)ბუნებაში მოქცევის წესების შესწავლაზე, (ii)პარკის ტერიტორიის დათვალიერებაზე, (iii)შეჯიბრებების, თამაშებისა და ღონისძიებების მოწეობაზე, (iv)საინფორმაციო მასალის მიწოდებაზე.

განხორციელების მდგომარეობა:

რამდენჯერმე სკოლის მოსწავლეებმა და ვდტ წარმომადგენლებმა მოაწვევეს არწივის ხეობისა და ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქცია, ასევე 2007 წელს ორგანიზებულ იქნა ჯომარდობა მდინარე ალაზანზე.

2003-2005 წლებში ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ორგანიზებით ვაშლოვანის ეროვნული პარკის მონახულება შეძლეს რაიონის 5 სკოლის მოსწავლეებმა და თბილისის ერთი უმაღლესი დაწესებულების სტუდენტებმა, სულ 90-მდე ადამიანი.

2009 წელს ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიება ჩატარდა 630 ადამიანს (მათ შორის, სკოლებში სემინარს დაესწრო 270 ადამიანი – 235 მოსწავლე და 35 პედაგოგი, ეკო-ტურებში მონაწილეობა მიიღო 250-მა ადამიანმა - 50 სტუდენტი, 190 მოსწავლე, 10

პედაგოგი). პრეზენტაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ ჩაუტარდა დამატებით 110 დაინტერესებულ პირს. სულ 740 ადამიანი.


2010 წლის მონაცემებით ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიება ჩაუტარდა 1268 ადამიანს (სკოლებში ლექცია-სემინარს დაესწრო 500 ადამიანი – 455 მოსწავლე და 45 პედაგოგი, დასუფთავების აქციებში მონაწილეობამიიღო 468 ადამიანი, ეკო-ტურებში მონაწილეობა მიიღო 300-მდე ადამიანი – 50 სტუდენტი, 200 მოსწავლე, 50 პედაგოგი). პრეზენტაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ ჩაუტარდა დამატებით 200-მდე დაინტერესებულ პირს. სულ 1468 ადამიანი.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორისაა დედოფლისწყაროს რაიონის 5 საჯარო სკოლა, ქ. თბილისის 7 საჯარო სკოლა, შავი ზღვის უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრი „მეტაზოა“, სულ 17 საგანმანათლებლო დაწესებულება.

2007, 2008 და 2009 წლებში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიემდინა 22 აპრილს – დედამიწის დღეს, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დაცული ტერიტორიების მიმდებარე სკოლის მოსწავლეებმა, მათ შორის – დედოფლისწყაროს რაიონის 4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ეკო-ტურებით: 2007 და 2008 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ხოლო 2009 წელს – ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მეტად ჩაერთო ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში: 2006 - 2010 წლებში მათი რიცხვი გაიზარდა 63%-ით (იხ. სურათი 2).

სურათი 2 – ეკო-საგანმანათლებლო ქმედებებში ჩართული ადამიანების რაოდენობა 2006 - 2010 წლებში



საპარტნიორო თანამშრომლობის დამყარება (6.4.3):

სემინარების ჩატარება დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის (თავი 6.4.3.1) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

სემინარების ორგანიზება ორ წელიწადში ერთხელ დაინტერესებული პირებისათვის და ორგანიზაციებისათვის (ბუნების მოყვარულთათვის, მასწავლებლებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის) დაცულ ტერიტორიაზე მათთვის საინტერესო საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

განხორციელების მდგომარეობა:

ვდტ ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ იქნა სემინარები, გაკეთებულ იქნა პრეზენტაციები, ასევე დახმარება იქნა გაწეული ვდტ-ზე ეკო-ტურების ორგანიზაციის საკითხებში. ვდტ ადმინისტრაცია მუდმივად ატარებს სემინარებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და ორგანიზაციებთან დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე და ვდტ-ის უნიკალურ და შესანიშნავ ბუნებაზე.

შეხვედრები ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან (თავი 6.4.3.2) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

შეხვედრების ორგანიზება, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიმღებების (სოფლის ხელმძღვანელი, პრეზიდენტის წარმომადგენელი) გათვითცნობიერება დაცული ტერიტორიების პროექტებისა და იქ არსებული პრობლემატური საკითხებით. ეს შეხვედრები ხელს უწყობენ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პარკის ადმინისტრაციის მხარდაჭერას ერთობლივი პროგრამებისა და პრობლემების გადაწყვეტის საკითხში.

განხორციელების მდგომარეობა:

2008 წლის ივნისში, ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ოფიციალურად გაიხსნა მცირე ინფრასტრუქტურა – ბუნგალოები. მოწვეული სტუმრები იყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ტურ-ოპერატორები და სხვა.

ცნობილი და დიდი ავტორიტეტის მქონე პირების ვიზიტების ორგანიზება ვდტ-ში (თავი 6.4.3.3) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

საერთაშორისო ფონდების და საელჩოების წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, მეცნიერების, მწერლების, მხატვრების მოწვევა ვდტ-ზე ყოველ წლიურად, რაც შექმნიდა პოზიტიურ დამოკიდებულებას და გაზრდიდა გავლენიანი და ცნობილი პირების დაინტერესებას მხარი დაეჭირათ ვდტ-ის განვითარებისათვის.

განხორციელების მდგომარეობა:

ჩანაწერებში აღინიშნება ორი ვიზიტი, რომელიც ორგანიზებული იყო მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში: არც ერთ ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია უცხოური საელჩოს წარმომადგენელს, თუმცა პარლამენტის დეპუტატები მონაწილეობდნენ ვიზიტში.

მოიხსენიებენ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების და საელჩოების, ასევე პარლამენტის წევრების ვიზიტს, თუმცა ამის დამადასტურებელი ჩანაწერები არ არსებობს.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ახერბაიჯანელ მესაზღვრეებთან და კოლეგებთან (თავი 6.4.3.4) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

სემინარის მოწვევა პოტენციური ტრანს-სასაზღვრო დაცული ტერიტორიის გამოსავლენად. პრიორიტეტული ქმედებების განსაზღვრა და რეალური თანამშრომლობის პირობების დაგეგმვა ორმხრივი საერთაშორისო

შეთანხმებების საფუძველზე. ყოველ წლიურად პარტნიორებთან ერთად სამოქმედო გეგმის შემუშავება.

განხორციელების მდგომარეობა:

განხორციელდა ერთი შეხვედრა აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან. შეხვედრა დასრულდა თანამშრომლობაზე შეთანხმებით, მაგრამ შემდგომი განხორციელება არ მოჰყოლია.

აშშ ბედლენდის ეროვნულ (დაძმობილებულ) პარკთან თანამშრომლობა (თავი 6.4.3.5) (პრიორიტეტი უნდა განისაზღვროს წლიურ საოპერაციო გეგმაში)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

შემუშავდეს და განხორციელდეს პროგრამა ინფორმაციის გაზიარებაზე, თანამშრომლების გაცვლასა და პარკის მენეჯმენტის თანამშრომლობაზე.

განხორციელების მდგომარეობა:

განხორციელდა გარკვეული ტრენინგები და გამოცდილების გაზიარება (მაგ. ტრენინგი მენეჯმენტის დაგეგმვაში, კანონის აღსრულებაში, ძებნასა და სამაშველო საქმიანობაში – ბედლენდის ეროვნული პარკის წარმომადგენლების მიერ (მაგრამ არა მხოლოდ ვდტ-თვის)

საზღვრის დაცვის სამსახურთან თანამშრომლობა (თავი 6.4.3.6) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. საზღვრის დაცვის ფუნქციის გადაცემა ვდტ-ის ადმინისტრაციისათვის.

განხორციელების მდგომარეობა:

არ ჩატარებულა სემინარები ან ოფიციალური შეხვედრები. თანამშრომლობას აქვს არაოფიციალური ხასიათი. არაოფიციალური თანამშრომლობის შედეგად გაუმჯობესდა ურთიერთობები. საზღვრის დაცვის ფუნქციების ვდტ-ის ადმინისტრაციისათვის გადაცემის საკითხი არ განხილულა ოფიციალურ დონეზე და რამდენად შესაფერისია ამ ფუნქციის გადაცემა კითხვის ნიშნის ქვეშაა. ჯერ კიდევ არსებობს საზღვრის პოლიციისა და დტ რეინჯერების ფუნქციების გადაფარვა.

თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის სექტორთან (თავი 6.4.3.7) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

საპარტნიორო ურთიერთობების ჩამოყალიბება სოფლის მეურნეობის სამსახურის რეგიონალურ სააგენტოსთან და კერძო ფერმერებთან. ტრადიციული ცოდნის დონის დადგენა; მიწათსარგებლობის ტრადიციული პრაქტიკის დაწესება ტრადიციული გამოყენებისა და დამხმარე ზონებში.

განხორციელების მდგომარეობა:

არავითარი ქმედება არ განხორციელებულა, თუმცა ეს საქმიანობა მაინც მაღალი პრიორიტეტისაა.

*კერძო სექტორთან და კონცესიონერებთან თანამშრომლობა (თავი 6.4.4.1 და 6.4.4.2)
(პრიორიტეტი მაღალი)*

დაგეგმილი ქმედებები (ან პროექტები):

სემინარების ჩატარება კერძო სექტორის ინფორმირებისა და მოზიდვის და ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზნით. კონცესიის უფლების გაცემა საკონკურსო წესით.

განხორციელების მდგომარეობა:

2010 წლის აგვისტოში ჩატარდა ტენდერი ვდტ-ის ვიზიტორთა მთელი ინფრასტრუქტურის (ბილიკების გარდა) ათი წლით იჯარით გაცემაზე. სატენდერო დოკუმენტებში დაკონკრეტებული იყო, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა მოამზადოს მენეჯმენტის გეგმა და შეათანხმოს იგი დტს-თან, ტენდერის პირობა იყო ასევე, რომ გამარჯვებულს უნდა გაეყიდა სუვენირები. ტენდერი ღია იყო ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის, რომელიც რეგისტრირებულ იყო საქართველოში. არ იყო გათვალისწინებული უპირატესობის მინიჭება ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის. არც ერთი განაცხადი არ შემოსულა. პოტენციურმა მონაწილეებმა განუცხადეს დტს-ს რომ საწყისი ფასი იყო ძალიან მაღალი.

ქმედებები და შედეგები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული მენეჯმენტის გეგმაში

2010 წელს, IUCN პროგრამის ფარგლებში, დაარსებულ იქნა მეგობართა ასოციაციები დაცული ტერიტორიების მართვასა და პოპულარიზაციაში ხელშეწყობის მიზნით; მათ შორის არის ვდტ-ის მეგობართა ასოციაცია. ეს კონკრეტული ქმედება არ ყოფილა გათვალისწინებული წინა მენეჯმენტის გეგმაში, მაგრამ იგი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის ელემენტს. ასოციაციის მიზანი არის დაეხმაროს ადმინისტრაციას სამუშაოების განხორციელებაში, გაავრცელოს ინფორმაცია, ჩართოს ასოციაციაში შეძლებისდაგვარად ბევრი ადამიანი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამთავრობო სექტორიდან, ასევე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ტურ-ოპერატორები, ბიზნესმენები, ადგილობრივი მოსახლეობა, დაინტერესებული მხარეები და ა.შ. ასევე მოიხილოს გრანტები და განახორციელოს მიკრო-პროექტები, რომლებიც დაეხმარება ვდტ-ის ადმინისტრაციას და მოახდენს მის პოპულარიზაციას. ამჟამად წარმატებით ხორციელდება “ახალგაზრდა რეინჯერების პროგრამა”. პროგრამის მიზანია სკოლის მოსწავლეთა ეკო-განათლების დონის ამაღლება და მათი აქტიური ჩართვა გარემოს დაცვით საქმიანობებში.

4.5 დამხმარე ზონის პროგრამა

4.5.1 სტრატეგია (თავი 5.5.)

საქმიანობის ამ სფეროს მიზანი იყო დამხმარე ზონის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა. წარმოდგენილი იყო ამ სტრატეგიის სამი ელემენტი:

რაციონული დაგეგმვა: ახლო ურთიერთობის დამყარება დაგეგმვის სპეციალისტებთან და ახალი რეკომენდაციების შემუშავება, დედოფლისწყაროსათვის რეგიონალური გეგმის გენერალურ გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და ახლად დაარსებული ვდტ გათვალისწინებით.

სასოფლო სამეურნეო ლანდშაფტების რეაბილიტაცია: სოფლის მეურნეობის ადგილობრივ სექტორთან თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის უფრო მდგრადი

პრაქტიკის განვითარების ხელშესაწყობად. თანამშრომლობის მექანიზმს უნდა მოეცვა ინფორმაციის გავრცელება, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება. ეს საქმიანობები ძირითადად აქცენტირებული უნდა ყოფილიყო საძოვრების მენეჯმენტზე და მესაქონლეობის ტრადიციული ფორმების აღდგენაზე.

შემოსავლების გამომწევა: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა შემოსავლების გენერირებაში (ხალხური ხელოვნების ტრადიციები, სასტუმროები, ალაზანზე ნავით დაშვების კონცესიები, ცხენების მოშენება, საკვები, ადგილობრივი გაყიდვა ან გაქირავება). საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მცირე გრანტების პროგრამით გათვალისწინებული იყო ხელშეწყობა გარემოსადმი უსაფრთხო მცირე ბიზნესისათვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დამხმარე ზონაში მცხოვრები მოსახლეობის დაინტერესებისა და მათი ჩართულობის გაზრდა და ამგვარად ვდტ-ის მენეჯმენტის გეგმის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

4.5.2 პროგრამები და მათი განხორციელების მდგომარეობა

დედოფლისწყაროს რაიონის დაგეგმარების კორექტირება (თავი 6.5.1) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

სემინარების და ექსკურსიების ორგანიზება, ფორუმის შექმნა თანამშრომლობის მიზნით და რაიონული გეგმის მისაღებად რეკომენდაციების შემუშავება.

განხორციელების მდგომარეობა

პროგრამა არ განხორციელებულა. ვდტ-ის ადმინისტრაციამ ვერ დაასახელა ამის მიზეზი. შესაძლოა, რომ მუნიციპალიტეტი არ იყო თანამშრომლობით დაინტერესებული ან ვდტ ადმინისტრაციას არ ჰქონდა რესურსები ამ ქმედების განხორციელებლად, ასევე შეიცვალა პრიორიტეტები.

ქალაქ დედოფლისწყაროს გენერალური გეგმის დაკორექტირება (თავი 6.5.2), (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები (პროექტები):

სემინარების და ექსკურსიების ორგანიზება, ფორუმის შექმნა თანამშრომლობის მიზნით და რეგიონალური გეგმის მისაღებად რეკომენდაციების შემუშავება. დაკორექტირებისას ყურადღება უნდა მიქცეოდა ქალაქის ელექტრო- და წყალ-მომარაგებას, კომუნალური მომსახურების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, სანიტარულ და გამწმენდ საშუალებებსა და ეკო-ტურიზმის ხელის შეწყობას.

განხორციელების მდგომარეობა

პროგრამა არ განხორციელებულა. ვდტ-ის ადმინისტრაციამ ვერ დაასახელა ამის მიზეზი. შესაძლოა, რომ მუნიციპალიტეტი არ იყო თანამშრომლობით დაინტერესებული ან ვდტ ადმინისტრაციას არ ჰქონდა რესურსები ამ ქმედების განხორციელებლად, ასევე შეიცვალა პრიორიტეტები.

ეკოლოგიურად გამართლებული საქმიანობისათვის მცირე გრანტების პროგრამა (თავი 6.5.3) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი პროგრამა (WB/GEF - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში):

პროგრამის კონკრეტული მიზნები იყო:

- საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებით ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის ადგილობრივი მოსახლეობის მხარაჭერის ჩამოყალიბება;
- დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გასაუმჯობესებელი მიკროპროექტების განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა;
- ადგილობრივ მოსახლეობისთვის ისეთი მიკროპროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების გაწევა, რომელიც შეამცირებს დაცულ ტერიტორიებსა და მათ ბუნებრივ რესურსებზე ანთროპოგენურ ზეწოლას;
- მოსახლეობაში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარების, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე ტრადიციული მეთოდების შესახებ ცოდნის გავრცელება;
- შახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რიცხვის გაზრდა, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური დონის ამაღლება.

განხორციელების მდგომარეობა:

მცირე გრანტების პროგრამით დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- სოფლის წყლით მომარაგების სისტემის გაუმჯობესება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, როგორცაა წმინდა ილიას ტაძარი;
- ვიზიტორთა მომსახურების საშუალებები ხორნაბუჯის ციხესთან: აშენდა საინფორმაციო ცენტრი, საპიკნიკე ადგილი, ტუალეტი, ნაგვის განთავსების ადგილი და რეინჯერთა სადგური
- გაშენდა სანერგეები ადგილობრივი (შავი ქლიავი) ან გადაშენების პირას მყოფი კულტურული მცენარეებისათვის (ხორბლის ტრადიციული ჯიშები – თეთრი და წითელი დოლი, და სხვა)
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება
- საკვების წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიების შენარჩუნება
- ტრადიციული ხელსაქმის აღდგენა/გადარჩენა
- პროექტი ნახერხის ბრიკეტების გამოყენებით უდანაკარგო საწვავის სადემონსტრაციოდ
- დტ-ის ვიზიტორებისათვის ოჯახური სასტუმროების განახლება და მოწყობა
- პარტნიორული ორგანიზაციების ჩამოყალიბება ვდტ-თვის, როგორცაა „არწივის ხეობა“, რომელმაც ხელი შეუწყო ბუნებრივი ძეგლის „არწივის ხეობის“ ტერიტორიაზე დონისძიებების განხორციელებას, რაც მოიცავს ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრის მშენებლობას, ტერიტორიის გასუფთავებას და საგანმანათლებლო საქმიანობას.

ვდტ-ის დამხმარე ზონის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შედეგები იყო:

- მოსახლეობის უმრავლესობამ შეიძინა საპროექტო წინადადებების მომზადებისა და პროექტის განხორციელების გამოცდილება;
- მცირე გრანტების პროგრამის განხორციელებით მოსახლეობა გაერთიანდა საერთო პრობლემების ირგვლივ და დაინახა საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფების ან ორგანიზაციების შექმნის უპირატესობა;
- განუმტკიცდათ ნდობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიმართ;
- მოსახლეობის ნაწილმა გააცნობიერა შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შექმნის შესაძლებლობა დაცული ტერიტორიების განვითარებასთან ერთად;

- აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობას გაუჩნდა დაცული ტერიტორიების შენარჩუნების სურვილი და შესაბამისად ყალიბდება დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის მხარდაჭერა;
- ამადლდა ადგილობრივ მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერება;

ორგანიზაციებმა, რომლებმაც განახორციელეს მიკრო-პროექტები შეიძინეს ან გაიუმჯობესეს გამოცდილება:

- ფინანსების მოზიდვისა და მიზნობრივ მართვის;
- პარტნიორული თანამშრომლობის უპირატესობის შესახებ;
- საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისა და დოკუმენტაციის შედგენის; მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნებთან დაკავშირებული უნარ-ჩვევებისა და ურთიერთობის;
- მცირე ბიზნესის სწორად წარმართვასთან დაკავშირებულ იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით;
- პროექტების განხორციელების;
- საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგების წარმოდგენის;
- გარემოსდაცვითი ცნობიერების;

სემინარები ბუნებრივი რესურსების მომხმარებლებისათვის (თავი 6.5.4) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ღონისძიებები (ქმედებები)

სემინარების მოწყობის მიზანი იყო რესურსით მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფებისათვის – ფერმერებისათვის, მეთევზეთათვის, მონადირეთათვის და სხვა მომხმარებელთათვის – ინფორმაციის მიწოდება ვდტ-ის შიგნით და მის გარეთ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა საძოვრების მართვისადმი სოციალური მექანიზმების განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძველი ტრადიციების აღდგენასა და განვითარებას.

განხორციელების მდგომარეობა

ოფიციალური სემინარები არ ჩატარებულა. ვდტ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლები ყოველდღიურად აქტიურად მუშაობენ მწყემსებთან და ბუნებრივი რესურსებით სხვა მომხმარებლებთან და აწვდიან ინფორმაციას ვდტ-ის მნიშვნელობასა და საჭიროებებზე.

4.6 ვიზიტორთა მომსახურება

4.6.1 სტრატეგია და პროგრამა (თავი 5.6)

მენეჯმენტის გეგმის ქართული დამტკიცებული ვერსია არ მოიცავს ცალკე განხილულ ვიზიტორთა მომსახურების პროგრამას, მოცემულია ვიზიტორთა მომსახურების სტრატეგია. ინგლისურ ტექსტში არის ვიზიტორთა მომსახურების პროგრამა, სადაც მითითებულია, რომ მენეჯმენტის გეგმაში წარმოდგენილია სდტპ-ის ფარგლებში შემუშავებული ეკო-ტურიზმის განვითარების გეგმის (MALVER, 2004) ძირითადი მახასიათებლები. მენეჯმენტის გეგმის ინგლისურ ვერსიაში ასევე მითითებულია: “ვდტ-ზე ყოველსიმომცველი ვიზიტორთა მომსახურების სისტემის განვითარება არის ყველა სფეროს ქმედებებისა და მენეჯმენტის პროგრამების ერთობლივი შედეგი. ეს არის ინფრასტრუქტურის, შესაძლებლობების გაძლიერების, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის, კაპიტატებისა და სახეობების მენეჯმენტის, გარემოს დაცვისა და კვლევისა და მონიტორინგის კომბინაცია (იხ.

ასევე თავი 5.6). მენეჯმენტის პროგრამები აღწერილია ქმედებების თითოეული სფეროს შესაბამის ნაწილში”.

4.6.2 განხორციელების მდგომარეობა

ვღტ ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ იქნა შემდეგი ქმედებები ვიზიტორთა მომსახურების სფეროში:

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური ისტორიული პოტენციალის გამოვლენა

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების, როგორც ტურისტული პროდუქტის მიწოდება ვიზიტორებისთვის. ხორნაბუჯის ციხე VI საუკუნის ისტორიულ – კულტურული ძეგლი ჩადებულია ერთ-ერთ ტურისტულ მარშუტში “არწივის ხეობა-ხორნაბუჯის ციხე-ელიას მთა”. ამ ტურზე ძალიან აქტიურად გადიან ვიზიტორები.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა

იხ. ნაწილი 4.2 ზემოთ.

ვიზიტორთა ქცევის წესების დადგენა

დაგეგმილი იყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ქცევის წესების შედგენა. შედგენილია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთათვის დასაშვები და აკრძალული აქტივობები.

ტურიზმის განვითარების სტიმულირება

არსებობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული სასტუმროების მონაცემთა ბაზა, რომლებთანაც ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს. (უგზავნის ტურისტებს ვიზიტორთა დიდი ჯგუფის შემთხვევაში განსათავსებლად). საოჯახო სასტუმროები ჩართულნი არიან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციასა და მარკეტინგში.

ვიზიტორთა მომსახურების ერთიანი სისტემის შემუშავება

ვიზიტორთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრენინგები, ისინი ვიზიტორებს დაცულ ტერიტორიებზე მისვლამდე დეტალურ ინფორმაციას აწვდიან არსებული ტურების, სერვისების, ტარიფების, ინფრასტრუქტურის შესახებ, დაინტერესების შემთხვევაში ჯავშნის ვიზიტორისთვის სასურველ სერვისს. ასევე ხარისხიანი მომსახურების მიზნით მარკეტინგული კვლევისა და თვითშეფასების მიზნით ადმინისტრაციას აქვს სპეციალური კითხვარები ვიზიტორთათვის, რომელსაც უკეთდება ანალიზი და გათვალისწინებულია ვიზიტორთა მოსაზრებები.

ვიზიტორთა მომსახურების სისტემის ძირითადი მოთხოვნები

დაგეგმილი იყო ვიზიტორთა უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა. ქვეწარმავლებისგან დაცვის მიზნით შემუშავებულია სპეციალური ქცევის ინსტრუქცია ვიზიტორებისთვის. ასევე “ანტივიზიზმის შრატები” ინახება რაიონის პოლიკლინიკაში.სხვადასხვა ინტერესის მქონე ვიზიტორთა მომსახურების ჯგუფები

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორები სტუმრობს, გამონაკლისია 1-დან 6 წლამდე ბავშვები. ასევე სხვადასხვა

ინტერესს ჯგუფები სტუმრობენ დაცულ ტერიტორიებს, როგორცაა მეთევზეები, მხატვრები, ფოტო მოყვარულები, ვიდეო მოყვარულები, ეთნიკური კულტურითა და ისტორიით დაინტერესებული ვიზიტორები, განათლების სფეროთი დაინტერესებული ვიზიტორები, სამეცნიერო კვლევით დაინტერესებულ ვიზიტორები, ფრინველებით დაინტერესებული ვიზიტორები, თევზაობით დაინტერესებული ვიზიტორები.

უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეების მოზიდვა

დაცულ ტერიტორიებზე ფიქსირდება როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათგან საქართველოს მოქალაქეები ზოგადად შეადგენს 80 %-ს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები 20%-ს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებიდან სჭარბობს პოლონეთის, გერმანიის, ა.შ.შ-სა და თურქეთის მოქალაქეები.

სხვადასხვა ტურისტული შეთავაზებების შექმნა

- სალაშქრო ტურები
- საკემპინგო ადგილები
- საცხენოსნო ტურები,
- სათავგადასავლო ტურები, ჯომარდობა ალაზანზე,
- საავტომობილო ტურები
- კომპლექსური ტურები
- ხატვა ველურ ბუნებაში
- ფოტო- და ვიდეო სესიები
- დღესასწაულებზე დასწრება (ფიროსმანობა, ელიაობა)
- ტრადიციული ხელნაკეთობების ნიმუშების გამოფენა
- სპორტული-რეკრეაციული თევზჭერა
- საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება
- სამეცნიერო სამუშაო

ყველა ტურისტული შეთავაზება ფუნქციონირებს გარდა ცხენებით მომსახურებისა და ჯომარდობისა ალაზანზე – სასაზღვრო ზონის გამო.

ვიზიტორთა მომსახურების სფეროში თანამშრომლობა

ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს დამხმარე ზონის მოსახლეობასთან, ადმინისტრაციის რეკომენდაციით იგზავნება ტურისტები სხვადასხვა საოჯახო სასტუმროებში, ასევე კვების ობიექტებში. ადმინისტრაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ტუროპერატორებთან. საქართველოში არსებულ უმრავლეს ტუროპერატორებს ელექტრონულად გადაეგზავნათ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტული პაკეტები. მათგან რამდენიმე ტუროპერატორი პაკეტის გაცნობის შემდეგ პირადად ეწვია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს არსებული ტურისტული პროდუქტების გასაცნობად, რაშიც ადმინისტრაციამ შეძლებისდაგვარად გაუწია დახმარება. ტუროპერატორებმა ჩადეს თავიანთ ტურისტულ პაკეტებში ვაშლოვანის შეთავაზებები. ადმინისტრაცია ასევე აქტიურად თანამშრომლობს სამეცნიერო ინსტიტუტებთან და სხვადასხვა კომპანიებთან, მათ უტარდებათ პრეზენტაციები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურისტულ შეთავაზებებთან დაკავშირებით.

ახალი ტურისტული მარშუტების შექმნა

ვიზიტორთა ინტერესების გათვალისწინებისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის სრულყოფის მიზნით, დაიგეგმა საცხენოსნო და საფეხმავლო ტურისტული მარშუტები; ამჟამად ვიზიტორთა ცენტრი ვიზიტორებს 6 საავტომობილო, ინტეგრირებულს საფეხმავლოსთან, ტურისტულ

მარშუტს სთავაზობს: 1. არწივის ხეობა; 2. მიჯნის ყურე; 3. დათვის ხევი - პანტიშარა; 4. ტახტი-თეფას ტალახის ვულკანები; 5. დათვის ხევი - პანტიშარა - ქურციკების ვოლიერი; 6. მიჯნის ყურე (სპორტული თევზაობა).

ვებ-ის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება

დაგეგმილი იყო ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა. საქართველოში არსებულ ყველა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში გავრცელდა დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკები და ლიფლეტები. ასევე ტურისტული პაკეტები ელექტრონულად გადაეგზავნათ უცხო ქვეყნის ტურ-ოპერატორებს. შემუშავდა ფასდაკლებები 10-კაციან ტურისტულ ჯგუფებზე და განთავსდა დაცული ტერიტორიების ვებ-გვერდზე www.apa.gov.ge.


სხვადასხვა ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა

დაცული ტერიტორიების სააგენტო რეგულარულად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, სადაც წარადგენს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტულ პროდუქტებს: თბილისის, ბათუმის, ბერლინისა და ლონდონის გამოფენებზე.

4.6.3 ვიზიტორთა რაოდენობა და მათი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი


ქვემოთ მოცემული სურათები 3, 4, 5 და 6 გვიჩვენებენ შესაბამისად: ვდტ-ში ვიზიტორთა რაოდენობას ყოველ წლიურად 2005-2010 წლებში, ტურისტული მარშრუტებით მოსარგებლე ვიზიტორთა მთლიან რაოდენობას 2008-2010 წლებში, ვდტ-ის მიერ ვიზიტორთა მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს ყოველ წლიურად 2008-2010 წლებში, თითოეული ვიზიტორისაგან მიღებულ შემოსავალს 2008-2010 წლებში.

სურათი 3: ვდტ-ში ვიზიტორთა რაოდენობა ყოველ წელს 2005-2010 წლებში⁵




⁵ვიზიტორთა რაოდენობა არის ის რაოდენობა, რომელიც რეგისტრირებულ იქნა დედოფლისწყაროს ვიზიტორთა ცენტრში


სურათი 4 – ტურისტული მარშრუტებით მოსარგებლე ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობა 2008-2010 წლებში



სურათი 5: ვლტ-ის წლიური შემოსავალი ვიზიტორთა მომსახურებიდან 2008-2010 წლებში (ლარებში)



სურათი 6: ვლტ-ს მთლიანი შემოსავალი თითოეული ვიზიტორის მომსახურებიდან 2008-2010 წლებში



4.7 ჰაბიტატისა და სახეობების მენეჯმენტი, რესურსების მართვის ჩათვლით (თავი 5.7 და 6.6)

4.7.1 სტრატეგია

წინა მენეჯმენტის გეგმის სტრატეგია ჰაბიტატისა და სახეობების მენეჯმენტის სფეროში შედგებოდა ორი ელემენტისაგან: სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი; დაცვა, აღდგენა, ბუნებრივი რესურსების მოხმარება.

პოპულაციის რეინტროდუქციისა და აღდგენის პროგრამა. ამ პროგრამის მიზანი იყო დეგრადირებული ბიოცენოზების და ამ ტერიტორიებისათვის წარსულში დამახასიათებელი მსხვილი ძუძუმწოვარი სახეობების პოპულაციის აღდგენა. აღდგენითი ზომები უნდა განხორციელდებოდა როგორც არამანიპულაციური, ასევე მანიპულაციური მეთოდების საშუალებით – ჰაბიტატების აღდგენა არამანიპულაციური მეთოდით დაფინანსებული უნდა ყოფილიყო საკუთარი შემოსავლებით, ხოლო სახეობების რეინტროდუქცია მანიპულაციური მეთოდით უნდა დაფინანსებულიყო დონორი ორგანიზაციებისაგან ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სტრატეგია ასევე ითვალისწინებდა დტ-ის ფარგლებში მოსახლე რამოდენიმე ფერმერის განსახლებას დტ-ის ფარგლებს გარეთ.

ბუნებრივი რესურსების მოხმარება. წინა მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო მდელელების საძოვრებად გამოყენების, ტყეების მერქნისათვის გამოყენების (მოიცავდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემთხვევით უზრუნველყოფას), მდინარეების ცხვრის დასასვენებლად და დასარწყულებლად გამოყენების, და ნადირობისა და თევზჭერის პოლიტიკა. პოლიტიკა მოიცავდა სახელმძღვანელო პრინციპებს საქონლისა და ცხენების მაქსიმალური რაოდენობისათვის, რომელთა ძოვებაც დასაშვები იყო საძოვრებზე. დტ ადმინისტრაციას უნდა გადაეწვიტა, წელიწადში ერთხელ წლიური განხილვის დროს, საჭიროებდა თუ არა რომელიმე პოლიტიკა ცვლილებას ეკოსისტემების შემდგომი დეგრადაციის თავიდან აცილების მიზნით.

4.7.2 რეინტროდუქციისა და აღდგენის პროგრამა (ქმედებები) და მისი განხორციელების მდგომარეობა

დეგრადირებული საძოვრებისა და შავი მთის ტყის დამწვარი მონაკვეთების აღდგენა (თავი 6.6.1) (პრიორიტეტი არ არის მინიჭებული)

დაგეგმილი ღონისძიებები (ქმედებები):

ღონისძიებების პროგრამა მოიცავდა ქმედებებს, რომელსაც უნდა შეემცილებინა ადამიანის გავლენა და უზრუნველყო შავ მთაზე არსებული დამწვარი ტყის ფართობების და ბულამოდნის და მლაშე წყლის საძოვრების თვითგანახლება. უნდა მომხდარიყო იმ დეგრადირებული ფართობების იდენტიფიცირება, რუკაზე დატანა და შესწავლა, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყო ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც შავი მთის ტყის პატარა მონაკვეთების შეზღუდული გამოყენების და დტ-ის ფარგლებში არსებული 15 ფერმის დტ-ის ფარგლებს გარეთ განსახლების საშუალებას მოგვცემდა. ბუნების მკაცრი დაცვისა და ბუნების მართვადი დაცვის ზონებში ძოვების პრაქტიკა თანდათანობით უნდა შეემცილებულიყო ან აღკვეთილიყო. უნდა დანერგილიყო ძოვების რეგულირება ტრადიციული გამოყენების ზონაში.

განხორციელების მდგომარეობა – შავი მთის ტყეები:

არ შექმნილა არავითარი განსაკუთრებული მენეჯმენტი და განსაკუთრებული აღდგენითი სამუშაოები არ ყოფილა განხორციელებული. ტყის ნაწილი, რომელიც დაიწვა 2001 წელს, ბუნებრივად აღდგა. თუმცა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებამდე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული ხე-ტყის უკანონო ჭრის გამო ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნა ბუჩქნარად.

განხორციელების მდგომარეობა - საძოვრები

განსახლების პროგრამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ფერმერები არ დაეთანხმნენ შეთავაზებულ პირობებს. საძოვრები ისევ განიცდიან გადაჭარბებული ძოვებისგან ზეწოლას.

საძოვრების მენეჯმენტი (თავი 6.6.2) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ღონისძიებები ქმედებები:

უნდა მომზადებულიყო რეკომენდაციები საძოვრების მდგრადი მენეჯმენტისათვის ტრადიციული გამოყენების ზონაში საძოვრების ამჟამინდელ მდგომარეობის ბაზაზე, ასევე უნდა შეფასებულიყო თუ რამდენად მდგრადია ცალკე აღებული მონაკვეთები ნახირის, ცხვრის ფარის და ცხენების ჯოგის ძოვებისადმი, ასევე განსაზღვრული იყო ფერმერებთან თანამშრომლობა და უნდა განსაზღვრულიყო აღნიშნულ მონაკვეთებში საქონლის ძოვების ნორმები (ტევადობა). ვდტ ადმინისტრაციას უნდა ეთანამშრომლა ფერმერებთან საძოვრების უკეთესი მენეჯმენტის განხორციელების მიზნით.

განხორციელების მდგომარეობა:

საძოვრების დაგეგმილი კვლევა განხორციელდა⁶ მაგრამ საძოვრების მოხმარების რეკომენდირებული წესები არ იქნა განხორციელებული, რადგან დტს მიიჩნია ისინი ძალიან ზოგადად.

ქურციკის (*Gazella subgutturosa*) პოპულაციის აღდგენა (თავი 6.6.3) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი პროექტი (ღონისძიებები)

პროექტის დაგეგმილი შედეგი იყო ქურციკის მდგრადი პოპულაციის აღდგენა. მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო აღდგენის ორი პირობა: (i) უნდა მომხდარიყო ბრაკონიერობის/ნადირობის მთლიანი აღმოფხვრა ვდტ-ის უმეტეს ტერიტორიაზე; (ii) აღდგენის ზონიდან განსახლებულ უნდა ყოფილიყო 5 ფერმა.

განხორციელების მდგომარეობა:

განხორციელდა პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები (USDoITAP, თბილისის ზოოპარკის, WWF Caucasus და NACRES თანამშრომლობით): დაცვის სისტემა გაძლიერდა, აშენდა ღია ვოლიერები და 2009 წლის ნოემბერში თურქეთიდან რეინტროდუქციის მიზნით ჩამოყვანილ იქნა 10 ქურციკი. წარმოიშვა პრობლემა ქურციკების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ უკავშირდება შემოყვანილი ცხოველების გენეტიკას. მამრი და მდედრი ქურციკების თანაფარდობა ოპტიმალური არ არის. დტს ამზადებს პროგრამის

⁶ კვლევა განხორციელდა დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში - Acta Consultants მიერ. შედეგები და რეკომენდაციები მოცემულია: Acta Consultants. 2007. Process Framework Document and Resettlement Plan Final Report.

მორე ეტაპს, მზადდება რეინტროდუქციის სრულფასოვანი გეგმა და შემოყვანილ იქნება ქურციკების დამატებითი რაოდენობა.

ჯიქის (*Panthera pardus*) პოპულაციის აღდგენა (თავი 6.6.4) (პრიორიტეტი საშუალო)

დაგეგმილი პროექტი (ლონისძიებები)

პროგრამის დაგეგმილი შედეგი იყო ჯიქის პოპულაციის აღდგენისათვის წინასწარი კვლევისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

განხორციელების მდგომარეობა:

ვაშლოვანში ჯიქის პოპულაციის აღდგენისათვის წინასწარი კვლევა და სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა. მის მაგივრად NACRES და WWF Caucasus მოამზადეს ჯიქის კონსერვაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NACRES and WWF Caucasus, 2010).

4.7.3 რესურსის მოხმარების სტრატეგია და მისი განხორციელების მდგომარეობა

საძოვრების მართვა (თავი 5.7, ნაწილი)

სტრატეგია:

წინა მენეჯმენტის გეგმის მიხედვით ძოვება დასაშვები უნდა ყოფილიყო ვდტ-ის მსოლოდ გარკვეულ ფართობებზე⁷ წლის გარკვეულ დროსა და საქონლის გარკვეული რაოდენობით. საძოვრების მოხმარების წესები და ნებართვები განსაზღვრული იქნებოდა საიჯარო ხელშეკრულებით, რომელიც ვდტ-ის ადმინისტრაციის მიერ იქნებოდა გაცემული გარკვეული პერიოდით. საიჯარო ხელშეკრულებაში გაწერილი წესების შესრულება სისტემატიურად გაკონტროლდებოდა რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ.

განხორციელების მდგომარეობა:

მენეჯმენტის გეგმაში მითითებულია მოხმარების ზოგადი წესები. მოხმარების უფრო კონკრეტული წესები შემუშავებულ იქნა Acta Consultants მიერ (იხ. ზემოთ). წესები არ განხორციელებულა, რადგან დტს-მ მიიჩნია, რომ ეს წესები არ იყო საკმარისად დეტალური.

შეშის მოპოვება (თავი 5.7, ნაწილი)

სტრატეგია:

წინა მენეჯმენტის გეგმის მიხედვით შეშის გაცემა უნდა მომხდარიყო შემოდგომასა და ზამთარში იმ ფერმერებზე, რომლებიც მუშაობდნენ ვდტ-ის შიგნით და მასთან დაკავშირებულ ტერიტორიებზე, ასევე სასაზღვრო კონტროლის პუნქტებში. შეშა ასევე გამოიყენებოდა ვდტ-ის ადმინისტრაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო წესები და პროცედურები საშემე ხე-ტყის დამზადების კონტროლისათვის. ასევე თითოეულ მიმღებ მხარეზე მისაცემი შეშის მაქსიმალური ოდენობა და აკაციის პლანტაციის ფართობი, რომელიც წლიურად უნდა ყოფილიყო მოჭრილი საშემე ხე-ტყედ. პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობა

⁷ მლაშე წყლის, ჩიკოტოხევის და იმედასხევის ხეობები, შავი მთის მიმდებარე მდელოები (დროებით ფერმერების განსახლებაზე), ალაზნის ჭაღის ტყეების გასვრივ არსებული მდელოები, გორისწყალის, ალფადარასა და ჩაიბულაყის მდინარის ზედაწელი(დროებით ფერმერების განსახლებაზე), მიღები და ვიწრო ხეობები

უნდა გაეწია რესურსების მართვის სპეციალისტს, ხოლო პროგრამის განხორციელებაზე კონტროლი ეკისრებოდა რეინჯერთა სამსახურს.

განხორციელების მდგომარეობა:

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხე-ტყის საშეშედ გამოყენება მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია. 2007-2009 წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა პერიოდულად იღებდა საშეშედ ხე-ტყეს ალაზნის ჭალის ტყეების აკაციის პლანტაციებიდან – 420 კუბ.მ წლიურად 140 კომლზე. იმავე ტერიტორიიდან საშეშედ-ხე-ტყით მოსახლეობის უზრუნველყოფა 2011 წლიდან შეუძლებელი იქნება. შესაძლებელია ხე-ტყის მასალის მოპოვება ტრადიციული გამოყენებისა და ბუნების მართვადი დაცვის ზონების ფოთლოვანი ტყიდან.

შავი მთის ხე-ტყე (თავი 5.7, ნაწილი)

სტრატეგია

შავი მთის ტყეების ზოგიერთ ნაწილში დაშვებული უნდა ყოფილიყო გაწმენდითი და შემთხვევითი ჭრები.

განხორციელების მდგომარეობა:

ჭრა არ იქნა ნებადართული, რადგან არ განხორციელებულა ინვენტარიზაცია, რომელიც ნებადართული ჭრის საფუძველს შექმნიდა.

წყლის გამოყენება (თავი 5.7, ნაწილი)

სტრატეგია:

წინა მენეჯმენტის გეგმაში მითითებული იყო პროცედურები და პასუხისმგებლობები, შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ფერმერების მიერ ცხვრის დასასვენებლად დაცული ტერიტორიების ხეობებში არსებული წყაროების გამოყენების ნებართვაზე.

განხორციელების მდგომარეობა:

დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არის დასასვენებელი ადგილები, მაგრამ საქონლისათვის ამ ადგილების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დტ-ის გავლით. ნებართვების სისტემა ეფექტურად ფუნქციონირებს.

თევზაობა (თავი 5.7, ნაწილი)

სტრატეგია:

ნებადართული უნდა ყოფილიყო რეკრეაციული თევზაობა აღმალოს ყურეში, გორისწყალზე, ალფადარაში და მიჯნის ყურეში. უნდა განხორციელებულიყო კვლევა მდინარე ალაზნის იხტო-ფაუნის მდგომარეობის დადგენის მიზნით და ასევე თევზ-ჭერის ზოგადი კვოტის განსასაზღვრავად. რესურსების მენეჯმენტის სპეციალისტს ყოველ წლიურად უნდა განესაზღვრა თითოეული ვიზიტორის მიერ თევზის ჭერის ლიმიტი, ასევე თევზჭერის ტექნიკური მოთხოვნები და სპეციფიკა. თევზჭერას გააკონტროლებდა რეინჯერთა სამსახური. იხტო-ფაუნის მონიტორინგი აღეკვეტებოდა უნდა განხორციელებულიყო.

განხორციელების მდგომარეობა:

დაგეგმილი კვლევა მდინარე ალაზნის იხტო-ფაუნის მდგომარეობის შესასწავლად არ განხორციელებულა. თევზჭერის კვოტის დადგენის სისტემა

არ შემუშავებულა და არ განხორციელებულა. ნებართვების გაცემა ხორციელდება კვოტის დადგენის გარეშე.

ნადირობა (თავი 5.7, ნაწილი)

წინა მენეჯმენტის გეგმაში მითითებული იყო, რომ ნადირობა აკრძალული იყო ვდტ-ის მთელ ტერიტორიაზე. გეგმაში, გარემოს დაცვის საქმიანობის სფეროში, ყურადღება გამახვილებული იყო უკანონო ნადირობაზე.

4.8 გარემოს დაცვა (მათ შორის კანონის აღსრულება, ძებნა-ძიება და სამაშველო სამსახურები) (თავი 5.8 და 6.7)

4.8.1 სტრატეგია

სტრატეგია მოიცავდა შვიდ ელემენტს:

შემოვლების და კონტროლის სისტემა. ვდტ-ის დაყოფა დაცვის უბნებად და დაცვის ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. სტრატეგიაში ასევე მოცემული იყო რეინჯერთა სამსახურის უფროსის, უფროსი რეინჯერისა და რეინჯერების უფლება-მოვალეობები, და ტერიტორიის შემოვლის ფურცელში დაკვირვებები და კანონის დარღვევების დაფიქსირების სისტემა. გარდა კანონის აღსრულების ფუნქციისა, რეინჯერებს უნდა განეხორციელებინათ ბუნებრივი რესურსების მოხმარების მონიტორინგი და მონაწილეობა მიეღოთ კვლევასა და მონიტორინგში, ვიზიტორთა მომსახურებასა და სამაშველო ქმედებებში.

შემოვლებისა და კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. კანონის აღსრულების ფუნქციის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო დაცვითი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის სპეციფიკაცია. დაცვითი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მოცემულია ინფრასტრუქტურის სფეროს ქმედებაში (იხ. ნაწილი 4.2 ზემოთ). აღჭურვილობის შესყიდვა მოცემულია ადმინისტრირების სფეროს ქმედებაში (იხ. ნაწილი 4.1 ზემოთ).

ტრანსპარენტობა და თანამშრომლობა. სპეციალური რეჟიმის განხორციელება აზერბაიჯანის სახდურის გასწვრივ. ქართველ და აზერბაიჯანელ მესაზღვრე სამხედროებსა და გარემოს დაცვის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება. ეს სტრატეგია და სტრატეგიასთან ასოცირებული პროგრამა ჩართულია ქმედების სფეროში “საზოგადოებასთან ურთიერთობა, ბიზნეს ურთიერთობის ჩათვლით” (იხ. ნაწილი 4.4 ზემოთ).

ვდტ-ის თანამშრომლების როლი, პასუხისმგებლობა და აღმასრულებელი უფლებები. ამ სტრატეგიისათვის ეს არ იყო ქმედებების ცალკე პროგრამად გამოყოფილი. მენეჯმენტის გეგმაში შეჯამებული იყო ვდტ-ის ფუნქციები და რეინჯერთა სამსახურის უფლებები და პასუხისმგებლობები კანონის დარღვევების აღკვეთასთან მიმართებაში.

თანამშრომლობა და რესურსის მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება. ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება დაშვებულ და აკრძალულ საქმიანობებზე. ფერმერებისა და მოსახლეობის წახალისება ითანამშრომლონ ვდტ-ის ადმინისტრაციასთან. აუცილებელი იყო ისეთი სტაბილური გარემოს შექმნა, რომლის დროსაც დაცულ ტერიტორიაზე მოქმედების შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდებოდა.

ძებნა და სამაშველო სამსახური, სასწრაფო დახმარება. სტიქიური უბედურების (ხანძარი, ფლორისა და ფაუნის ეპიდემიის წყაროები, წყალდიდობა, ეპიდემია, ა.შ.)

დროს სამაშველო საქმიანობა უნდა გაეწიოს რეინჯერთა სამსახურს სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

შესაძლებლობათა გაძლიერება. რეინჯერთა სამსახურის პროფესიული საქმიანობის დონის ასამაღლებლად, ვდტ-ის რეინჯერები უნდა დასწრებოდნენ ტრენინგს, რომელზედაც ისწავლებოდა იარაღის გამოყენება, დარღვევების აღმკვეთი ზომების განხორციელება, ტერიტორიის შემოვლა, აღჭურვილობის გამოყენება, ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მონიტორინგი, პირველადი დახმარებისა და სამაშველო საქმიანობის უნარ-ჩვევები, სალაპარაკო ინგლისური. ამ სტრატეგიასთან ასოცირებული ღონისძიებები (ქმედებები) მოცემულია ქმედების სფეროში “შესაძლებლობების გაძლიერება და ტრენინგი “ (იხ. ნაწილი 4.3 ზემოთ)

4.8.2 პროგრამა და მისი განხორციელების მდგომარეობა

შემოვლები (თავი 6.7.1) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედება

ზემოთ აღწერილი შემოვლებისა და კონტროლის ეფექტური სისტემის განხორციელება.

განხორციელების მდგომარეობა:

შემოვლების სქემა, რომელიც მომზადებულ იქნა ვდტ ადმინისტრაციის მიერ არ არის სრულად ეფექტური, რაც გამოწვეულია მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთათვის შლაგბაუმების და ასევე გამაფრთხილებელი/აღმკვეთი ნიშნულების არ არსებობით (იხ. ნაწილი 4.2.2 ზემოთ). საჭიროა რეინჯერების რაოდენობის გაზრდა ეფექტური შემოვლებისათვის.

დარღვევათა პროფილაქტიკა (თავი 6.7.2) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ვდტ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, მოიჯარეებისა და მწყემსების ინფორმირება დაცულ ტერიტორიაზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების, დაცვის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი ჯარიმის ოდენობის და საჭიროების შემთხვევაში დაცული ტერიტორიების საზღვრების შესახებ.

განხორციელების მდგომარეობა:

ეს ქმედება განხილულია საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის ნაწილში, ასევე რეინჯერების ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირში.

სტიქიური უბედურების შედეგებთან ბრძოლა, საგანგებო მდგომარეობის თავიდან აცილება და სამაშველო სამსახური (თავი 6.7.3) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ხანძრის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება; რეინჯერთა ძიება-სამაშველო ოპერაციებში ადექვატური უნარ-ჩვევებით აღჭურვა, საგანგებო მდგომარეობის მართვის სისტემის დაარსება.

განხორციელების მდგომარეობა:

ჩატარებულ იქნა ტრენინგები ტრენინგისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში (WB/GEF- GPADP, DoI/ITAP და GIZ SMB), - სამაშველო საქმიანობა, პირველი დახმარება, დაკარგული პირის ძებნა, ხანძრების მართვა.

ხანძრის მართვის გეგმა იქნა მომზადებული იმ ნიმუშის შესაბამისად, რომელიც DoI/ITAP-ის მიერ ჩატრებული ტრენინგის დროს იქნა მოწოდებული. საჭიროა ხანძარ საწინააღმდეგო აღჭურვილობის შესყიდვა.

4.9 სამეცნიერო კვლევა, მონიტორინგი და გამოკითხვა (თავი 5.9 და 6.8)

4.9.1 სტრატეგია

სტრატეგია შედგებოდა ორი ელემენტისაგან:

სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან ურთიერთობების დამყარება და მიმდინარე კვლევით სამუშაოების ხელშეწყობა და კონტროლი. სტრატეგიის მიხედვით ვდტ-ში სამეცნიერო კვლევის მიზანი არის: მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შესწავლა და სამეცნიერო ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პრევენციული ზომების განხორციელებას ეკოსისტემებისა და მათი ბიოცენოზის წინააღმდეგ მიმართული დარღვევებისა და პოპულაციის დეგრადაციის აღსაკვეთად, დაეხმარება აღდგენის ღონისძიებების და რესურსების მდგრადი მოხმარების ქმედებების იდენტიფიცირებასა და განხორციელებას. ვდტ-ის ადმინისტრაციას უნდა მიემართა საკუთარი რესურსები მონიტორინგზე და კოორდინაცია გაეწია და დახმარებოდა სხვა ორგანიზაციებს სამეცნიერო მუშაობაში. მენეჯმენტის გეგმაში მოცემული იყო სტრატეგია სამეცნიერო კვლევებისათვის სხვადასხვა სფეროსათვის სხვადასხვა პრიორიტეტებისა და მიდგომების გათვალისწინებით. პრიორიტეტები მოცემულია მენეჯმენტის გეგმის დანართში 7.

მონიტორინგის მუდმივი პროგრამის განხორციელება, მცენარეთა და ცხოველთა თანსაზოგადობებსა და საკვანძო სახეობებზე ინფორმაციის სისტემატური შეგროვების მიზნით, რათა უზრუნველყოფილიყო სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების გრძელვადიანი მდგრადობა. ვდტ-ის ადმინისტრაციაში უნდა შექმნილიყო მონაცემთა ბაზა მონიტორინგის მონაცემების კომპილაციისათვის და შესაფასებლად, რომელიც მომავალში მენეჯმენტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდებოდა.

4.9.2 დაგეგმილი პროგრამა და მისი განხორციელების მდგომარეობა

სამეცნიერო კვლევა

განხორციელების მდგომარეობა:

(ქვემოთ ჩამოთვლილი კვლევითი ქმედებები აღებულია მენეჯმენტის გეგმის მე-7 დანართიდან):

ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია. ფლორის ინვენტარიზაცია განხორციელდა ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ

პოპულაციურ-ეკოლოგიური და კონსერვაციული მნიშვნელობის კვლევები. მურა დათვის პოპულაციურ ეკოლოგიური კვლევა ჩატარდა FFI/NACRE მიერ EU დაფინანსებით განხორციელებული საქართველოს მტაცებელთა კონსერვაციის პროექტის ფარგლებში.

კვებითი კავშირების კვლევა. არ განხორციელებულა არავითარი ქმედება.

მტაცებელი-მსხვერპლის ურთიერთობების შესწავლა. *Gyps fulvus* მონიტორინგი განხორციელდა ვდტ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ და შედეგები დატანილ იქნა რუკაზე.

ტექსონომიური კვლევა. არ განხორციელებულა არავითარი ქმედება

უცხო სახეობების შესწავლა. არ განხორციელებულა არავითარი ქმედება.

ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტების შესწავლა. საბაზისო კვლევა განხორციელდა FFI/NACRES მიერ EU დაფინანსებით განხორციელებული საქართველოს მტაცებელთა კონსერვაციის პროექტის ფარგლებში

პირუტყვის ძოვების ეკოლოგიის შესწავლა და საძოვრების მდგომარეობის შეფასება. კვლევა განხორციელდა Acta Consultants⁸ მიერ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში.

საბაზისო კვლევა (ადამიანის საქმიანობა, საფრთხე, ჰაბიტატი, სახეობები) (თავი 6.8.2.1) (პრიორიტეტი არ არის მიწერილი)

დაგეგმილი ქმედებები:

ძირითად სახეობებზე მონაცემების შეგროვება, მცნარეულობის აღწერა ფიტოცენოზების ძირითადი სტრუქტურისა და განაწილების იდენტიფიცირება. არსებული საფრთხეების გამოვლენა და შეფასება. თემატური რუკების შემუშავება; მიღებული მასალების საფუძველზე მონაცემთა ბაზის შემუშავება. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შემუშავება.

მენეჯმენტის გეგმაში მითითებულია, რომ ზემოთ აღნიშნული ქმედებები განხორციელდა NACRES მიერ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

განხორციელების მდგომარეობა:

NACRES მიერ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ზოგადია და არა სრული. მაგალითად, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების მდებარეობა, მდგომარეობა და ჰაბიტატები არ არის იდენტიფიცირებული და მონიშნული თემატურ რუკებზე. მცნარეთა სახეობები არ არის წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რის გამოც ინფორმაცია ყველა თანამშრომლისთვის ვისაც ეს სჭირდება, არ არის ხელმისაწვდომი.

მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდში ზოგიერთი მერქნიანი სახეობისათვის მომზადებულ იქნა რუკები გის-ში ვდტ-ის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ.

ვდტ-ის მონიტორინგის სახელმძღვანელო (თავი 6.8.2.1) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ყველა სამონიტორინგო საქმიანობისათვის პრაქტიკული ინსტრუქციების შექმნა, ყველა მეთოდის დადგენა, მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა გამოყენებისათვის პროცედურების შემუშავება. მონიტორინგის სახელმძღვანელოში შეგროვილი და დადგენილი უნდა ყოფილიყო ვდტ-ში გამოყენებული ყველა მეთოდი, მათ შორის დეტალური მითითებები საველე სამუშაოსათვის, მონაცემთა ოქმები, განრიგები, ტრანსექტები და სივრცული სანიმუშო კვადრატები, მონაცემთა შეტანა და დამუშავება. პარკის ადმინისტრაციაში დაინსტალირებულ უნდა ყოფილიყო მონაცემთა ბაზა.

⁸ მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი. Acta Consultants. 2007. საპროცესო ჩარჩო დოკუმენტი და გადასახლების გეგმა, საბოლოო ანგარიში.

განხორციელების მდგომარეობა:

მონიტორინგის სახელმძღვანელო შემუშავდა NACRES მიერ საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში და ჩატარდა ტრენინგები მის გამოყენებაზე 2006-2007 წლებში. ტრენინგების შემდგომ ვდტ ადმინისტრაციამ შეიმუშავა პროგრამა საფრთხის წინაშე მყოფი მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგისათვის.

ადამიანის საქმიანობა და საფრთხე (თავი 6.8.2.2) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მუდმივად დააკვირდება ადამიანის ზემოქმედებას ვდტ-ზე, მათ შორის გის-ის ანალიზით. დაცვის ეფექტურობის მაჩვენებელთა შემუშავება.

განხორციელების მდგომარეობა:

არ განხორციელებულა.

სახეობათა მრავალფეროვნების ინდექსი (თავი 6.8.2.3) (პრიორიტეტი დაბალი)

დაგეგმილი ქმედებები:

მეთოდოლოგიის შემუშავება ბიომრავალფეროვნებაში მიმდინარე ზოგად ტენდენციებზე დაკვირვების მიზნით, მათ შორის გის-ის ანალიზითაც. კონსერვაციის წარმატების ინდიკატორების შექმნა.

განხორციელების მდგომარეობა:

არ განხორციელებულა. ინვენტარიზაცია განხორციელდა, მაგრამ ინდექსები არ განსაზღვრულა.

ჰაბიტატის მდგომარეობის შეფასება (თავი 6.8.2.4) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ჰაბიტატის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მონიტორინგის მეთოდის შემუშავება სახეობათა მაჩვენებლების შერჩევის საფუძველზე და კონსერვაციის ეფექტურობის შეფასებისათვის ინდიკატორების შექმნა. სანიმუშო კვადრატები უნდა განსაზღვრულიყო და მომხდარიყო მათი დემარკაცია ველზე და ასევე განსაზღვრულიყო პარამეტრები, რომლებიც სანიმუშო კვადრატში ექვემდებარებოდა რეგისტრაციას. (მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო ინდიკატორი სახეობები და ნიმუშის აღების სტრატეგია თითოეული ძირითადი ჰაბიტატისათვის)

განხორციელების მდგომარეობა:

შეგროვილი მონაცემები არასრულია. მონაცემები არ შეგროვებულა რეგულარულად. ვდტ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ მიუღიათ აუცილებელი ტრენინგი, რაც საშუალებას მისცემდა მათ შეეგროვებინათ ინფორმაცია.

ენდემური და საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობები (თავი 6.8.2.5) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

იშვიათ და ენდემურ მცენარეებზე მონიტორინგის მექანიზმის შემოღება. კონსერვაციის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორის შექმნა. უნდა განსაზღვრულიყო და დემარკირებულიყო სანიმუშო კვადრატები ველზე თითოეული სახეობისათვის; ასევე განსაზღვრულიყო პარამეტრები, რომლებიც სანიმუშო კვადრატში ექვემდებარებოდა რეგისტრაციას. (მენეჯმენტის გეგმაში დაკონკრეტებული იყო ინდიკატორი სახეობები და ნიმუშის აღების სტრატეგია თითოეული ძირითადი ჰაბიტატისათვის).

განხორციელების მდგომარეობა:

ინფორმაცია შეგროვებულ იქნა მხოლოდ 2 სახეობაზე, მაგრამ არა რეგულარულად. ინფორმაცია არასრულია.

საფრთხის წინაშე მყოფი მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი (თავი 6.8.2.6) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

დათვზე (*Ursus arctos*), მგელზე (*Canis Lupus*), ფოცხვერზე (*Lynx lynx*) და ლეოპარდზე (*Panthera pardus*) მუდმივი მონიტორინგის მეთოდების შემოღება. ცოდნის გაზრდა მათ ეკოლოგიაზე. მათ უკეთესი დაცვისათვის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება.

უნდა განსაზღვრულიყო პოპულაციების ფენოლოგია კვალის იდენტიფიკაციის მეშვეობით (ნაკვალევის, ნარჩენების, სხვა ნიშნების საფუძველზე). მონაცემები უნდა შევსებულიყო ფოტომასხვებისა და ტელემეტრიის გამოყენებით.

განხორციელების მდგომარეობა:

აღნიშნული სახეობების უწყვეტი მონიტორინგი განხორციელდა 2008 წლის შემდგომ NACRES-თან ერთად, რომლის დროსაც გამოყენებულ იყო რადიო ლოკაციის, ტრანსექტებისა და სხვა მეთოდები. სახეობების რაოდენობა და გავრცელების ადგილი განისაზღვრა რეინჯერების მიერ შეგროვილი ინფორმაციის საშუალებით, ამ უკანასკნელებს გამოყენებული ჰქონდათ კვალის იდენტიფიკაციის მეთოდი.

ფრინველების მონიტორინგი (თავი 6.8.2.7) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

მუდმივი მონიტორინგის მეთოდების შემოღება საფრთხის წინაშე მყოფ და გამორჩეულ ფრინველებზე, მათ შორის კაკაბზე (*Alectoris chukar*), ხოხობზე (*Phaseanus colchicus*), ზარნაშოზე (*Bubo bubo*), ველის არწივზე (*Aquila heliaca*), სვავზე (*Aegypius monachus*), ორბზე (*Gyps fulvus*), კირკიტაზე (*falco naumanni*).

განხორციელების მდგომარეობა:

მონიტორინგი განხორციელდა კაკაბზე, ხოხობზე, ველის არწივზე, სვავზე და ორბზე. კვარტალურად შეგროვილ იქნა ინფორმაცია მათი დაბუდების ადგილზე, თუმცა ეს პროცესი დროებით შეჩერებულია. გარდა ამისა, გამოიყენა რადიო ლოკაციის საშუალებით განისაზღვრა სვავის კვების ადგილები, საფრენი მარშრუტები და სხვა მონაცემები (.

ხერხემლიანი ცხოველების აღრიცხვა და ფენოლოგიური დაკვირვებები (თავი 6.8.2.8) (პრიორიტეტი დაბალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ფოტო- და ვიდეო მასალების შექმნა, მონაცემთა ბაზის შექმნა, მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნების დადგენა.

განხორციელების მდგომარეობა:

ხერხემლიანების აღწერა მიმდინარეობდა რეგულარულად და ინფორმაცია აისახა ვდტ ანგარიშებსა და სტატისტიკაში, ასევე ვდტ “ბუნების მატეანეში”. ფენოლოგიური დაკვირვებები არ განხორციელებულა.

მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება (თავი 6.8.4) (პრიორიტეტი მაღალი)

დაგეგმილი ქმედებები:

ვდტ-ში მეტეოროლოგიური სადგურის შექმნა და დამონტაჟება, ამინდზე დაკვირვების მონაცემთა ბაზის შემოღება.

განხორციელების მდგომარეობა:

არ განხორციელებულა ფინანსების არ ქონის გამო. თუმცადა მონაცემები ჩაწერილია დედოფლისწყაროში არსებული მეტეოროლოგიური სადგურის მიერ.

5. პროგრესი სტრატეგიული მიზნების განხორციელების თვალსაზრისით

ანგარიშის ამ ნაწილში შეფასებულია პროგრესი მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების განხორციელების თვალსაზრისით. სანდო და გადამოწმებადი შეფასების გაკეთება სირთულეებთან არის დაკავშირებული: ზოგიერთი სტრატეგიული მიზანი არ არის დაწერილი იმგვარად, რომ შესაძლებელი იქნეს მათი გაზომვა, მენეჯმენტის გეგმაში არ არის მოცემული მიზნებისკენ პროგრესის მონიტორინგისთვის ინდიკატორები; და არ განხორციელებულა სისტემატიური მონიტორინგი სტრატეგიული მიზნების განხორციელების მიმართულებით.

1. დაცვა: ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა, რომელიც მოიცავს არიდული ნათელი ტყის უნიკალურ ბუნებრივ ლანდშაფტს, სტეპს, უდაბნოს, ნახევრად უდაბნოს, ალაზნის სათუთ ჭალებს.

დტ-ის გაფართოებამ და ახალი კატეგორიების შექმნამ, ვდტ-ის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა შეამცირეს ხე-ტყის უკანონო ჭრა, უკანონო თევზჭერა, საძოვრების ტრანსფორმაცია სახნავ მიწებად და მინიმუმამდე დაიყვანეს ხანძრებისა და უკანონო ნადირობის შემთხვევები. ავტომაგისტრალების მშენებლობა და არსებული გზების ბოროტად გამოყენება უკვე აღარ წარმოადგენს საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფართობებზე **Frontera** -თვის გაცემულია ლიცენზია ნავთობის მოპოვებაზე, ბურღვითი ოპერაციები არ ხორციელდება.

ვდტ-ზე ჯერ კიდევ მოქმედებს შემდეგი საფრთხეები და ზეწოლა:

- საძოვრების გადაჭარბებული ძოვება ტრადიციული გამოყენების ზონაში.
- მეცხვარე ძაღლებისაგან მსხვილი ძუძუმწოვრების დაფრთხობა.
- არა განახლებადი რესურსების მოპოვება, დანაგვიანება და მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, სოფლის მეურნეობის ქიმიკატებისაგან დაბინძურება და ვდტ-ის შემოგარენში ალაზანისა და მისი შენაკადების გამოყენება საირიგაციოდ.

ვდტ-ის მონიტორინგის ინფორმაცია 2008 და 2009 წელს გვიჩვენებს, რომ ძუძუმწოვრებისა და ფრინველთა სახეობების პოპულაციები, რომლებზეც

მიმდინარეობს დაკვირვება სტაბილურია ან მათი რაოდენობა გაზრდილია 12 თვის განმავლობაში. მონაცემები შემდეგია:

	სახეობების სავარაუდო რაოდენობა ვდტ-ზე	
	2008	2009
<i>Ursus arctos</i>	18	20
<i>Canis lupus</i>	30	35
<i>Lynx lynx</i>	7	8
<i>Aquila heliaca</i>	10	10
<i>Gyps fulvus</i>	50	65
<i>Ciconia nigra</i>	12	17
<i>Gypaetus barbatus</i>	18	20

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ინფორმაცია არასრულია და დაბალი ხარისხისაა. ვდტ-ის ადმინისტრაცია არ ფლობს საკმარის, სარწმუნო ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ჰაბიტატებისა და ყველა საკვანძო სახეობის, ან მონიტორინგის ქვეშ მყოფი სახეობების მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების განსაზღვრა.

2. აღდგენა: დევრადირებული ჰაბიტატების ბუნებრივთან მიახლოებულ მდგომარეობის რეაბილიტაცია. იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველების და მცენარეთა პოპულაციების აღდგენა.

ტყეები. შავი მთის ტყეების ნაწილი, რომლებიც დაიწვა 2001 წელს აღდგა. ტყის გამოყენებითი ღირებულება შემცირებულია წარსულში უკანონო ჭრების გამო, რამაც ტყეების ნაწილის ბუჩქნარად ტრანსფორმირება გამოიწვია. ტყეების ეკოლოგიური ღირებულების ცვლილებაზე არ არსებობს არავითარი ინფორმაცია.

საძოვრები. საძოვრები არ არის უკეთეს მდგომარეობაში იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც მომზადდა მენეჯმენტის გეგმა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ვდტ-ის ადმინისტრაციას არ განუხორციელებია საძოვრების მენეჯმენტის ღონისძიებები და ვდტ-ის ფარგლებში არსებული ფერმები არ იქნა განსახლებული ტერიტორიიდან. ვიზუალური დაკვირვებით ნათელია, რომ გარკვეული ფართობები არის უარეს მდგომარეობაში (არ არსებობს ემპირიული ინფორმაცია ცვლილებების შესაფასებლად). **Acta Consultants** მიერ დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში ფერმების განსახლების სტრატეგიის მოსამზადებლად ჩატარებულ 2007 წელს განხორციელებული კვლევაში იდენტიფიცირებულია, რომ იმ პერიოდისათვის საძოვრების მდგომარეობა კრიტიკული იყო.

სახეობები. ქურციკები რეინტროდუქციის მიზნით შემოყვანილ იქნა 2009 წელს, მაგრამ მათი ჯანმრთელობასთან და მამრისა და მდედრის თანაფარდობასთან დაკავშირებული პრობლემები საჭიროებენ, რომ სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის შესაქმნელად შემოყვანილ იქნეს დამატებითი ინდივიდები.

3. ცოდნა: ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობისა და ეკოლოგიის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაუმჯობესების

ხელშესაწყობად დაცულ ტერიტორიებზე ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესების შესახებ ახალი ინფორმაციის მოპოვება.

ვდტ-ის მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვდტ-ის ადმინისტრაციამ შეაფასოს სტრატეგიის ეფექტურობა და მიიღოს გადაწყვეტილება საჭიროა თუ არა აღნიშნული სტრატეგიების დიზაინის შეცვლა და რა სახით.

ცოდნა იმ პროცესებზე, რომლებიც გააღწევენ ახდენენ ვდტ-ის მდგომარეობაზე, არ არის საკმარისი ვდტ-ის ადმინისტრაციისათვის, რათა მან შიმუშავოს სტრატეგიები და პროგრამები საფრთხეების შესარბილებლად და გარდაუვალი ზეწოლების მიმართ (მაგ. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა) ადაპტაციისათვის, .

ვდტ-ის ადმინისტრაცია არ ფლობს ყველა საჭირო ინფორმაციას, ცოდნას და უნარებს, რომ დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი სტრატეგიები და პროგრამები.

4. ცნობიერების ამაღლება: *ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოსახლეობის გათვითცნობიერება ვდტ-ის პეიზაჟების მშვენიერების, მისი ფასეულობის და არსებული პრობლემების შესახებ, რამაც უნდა განაპირობოს მათი მხრიდან დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის მზადყოფნა.*

დტს-ს მიერ წლიური სოციალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო გათვითცნობიერებულია ვდტ-ის ფასეულობის შესახებ და უფრო პოზიტიურად არის განწყობილი ვდტ და ვდტ-ის ადმინისტრაციის მიმართ, ვიდრე დტ-ის დაარსებამდე, მენეჯმენტის გეგმის მომზადებამდე და დანერგვამდე იყო.

5. სიამოვნება: *ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის ვდტ-ს ლანდშაფტით, კელური ბუნებით და სხვა ღირებულებებით დატკობის საშუალების შექმნა.*

ვდტ-ზე ვიზიტორთა რაოდენობა 2010 წელს შვიდჯერ მეტი იყო 2005 წელთან შედარებით. ვიზიტორთა რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია 2007 წელს და იგი შეადგენდა 3 070 ვიზიტორს და დაეცა მინიმუმამდე 2008 წელს, როდესაც იგი შეადგენდა 1 460 ვიზიტორს, რაც სავარაუდოდ გამოწვეული იყო რუსეთთან ომით. 2009 და 2010 წლის ციფრები გვიჩვენებენ ვიზიტორთა რაოდენობის მყარ ზრდას, თუმცა იგი მაინც საგრძნობლად დაბალია 2007 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც საჭიროა შემოსავლის იმ დონის გენერირებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია მენეჯმენტის გეგმაში, განსაკუთრებით თუ გაითვალისწინებთ დტ-ზე შესვლის გადასახადის გაუქმებას.

6. ტრადიცია: *ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღდგენა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციული ფორმების რეაბილიტაცია.*

ტრადიციული ძოვების სისტემები, ვდტ-ის ფარგლებში, რომლებიც ითვალისწინებენ ძოვების ზეგავლენას საძოვრებზე, არ ყოფილა აღდგენილი. ამის შედეგად საძოვრები დიდი ზეწოლის ქვეშაა.

ვდტ-ის დამხმარე ზონაში WB/GEF- საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მცირე გრანტების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელიას მთის ეკლესიის რეაბილიტაცია; ბუნებრივი რესურსების მოხმარების მდგრადი ფორმების აღდგენა.

7. შემოსავალი: ვდტ ბუნებრივი რესურსების კონტროლირებადი და მდგრადი მოხმარების საშუალებით მისი ადმინისტრაციის მიერ მიღებული შემოსავლით ვდტ მენეჯმენტის ხარჯების დაფარვის საშუალების შექმნა.

ამჟამად არ მიიღება არავითარი შემოსავალი ბუნებრივი რესურსების მოხმარებიდან (მენეჯმენტის გეგმის მომზადების პროცესში დაგეგმილი იყო საძოვრების იჯარის გადასახადი ადმინისტრაციას მიედო). ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად დაბალია იმ ოდენობასთან შედარებით, რაც საჭიროა ვდტ მართვის მიმდინარე ხარჯების დასაფარად, ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ გაუქმდა დტ-ზე შესვლის გადასახადი და ნაწილობრივ იმითაც, რომ ვიზიტორთა რაოდენობა პროგნოზირებულზე უფრო დაბალია. დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებით დაიფარაგარკვეული არა-პერიოდული ქმედებების ხარჯები გარდა იმისა, რომელიც დაფინანსებულ იქნა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მიერ. ზოგადად ვდტ-ის დაფინანსება ბევრად მცირეა, ვიდრე ეს საჭიროა ეფექტური მენეჯმენტისათვის.

8. საარსებო წყარო: ვდტ შიგნით და მის დამხმარე ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებების შექმნა.

მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც განხორციელდა საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში დაეხმარა მთელ რიგ ორგანიზაციებსა და ოჯახებს თავიანთი შემოსავლის გაზრდაში; მისი დახმარება გამოიხატებოდა ტრადიციული ხელსაქმის, მეკამეჩობის დარგის აღდგენის, სანერგეების, ოჯახური სასტუმროების, წყალ მომარაგების სისტემის მოწყობის მხარდაჭერაში. ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების მესაკუთრეები დებულობენ გარკვეულ სარგებელს ვდტ-ის ვიზიტორებისაგან. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოიჯარეზე გაცემის მცდელობა არ აღმოჩნდა წარმატებული, მაგრამ ამის შესაძლებლობა კვლავ არსებობს. მომსახურების გაწევის უფლების გაცემის შესაძლებლობა არ არის სრულად გამოყენებული.

9. ეფექტის გაგრძელება: დაცული ტერიტორიების ყველა დონის სამენეჯმენტო რგოლებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის და გამოცდილების გაზიარების საშუალებით საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისათვის და აგრეთვე მეზობელი ქვეყნებისთვის სარგებლობის მოტანა.

ვდტ-ის დაგეგმარების ჯგუფის ზოგიერთი წევრი ჩართული იყო კოლხეთის ეროვნული პარკის დაგეგმარებაში. ვდტ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლები საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებთან ერთად ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა დონის დიებაში (დტს დაგეგმარებისა და პროგრესის საანგარიშო შეხვედრები, ტრენინგები), გარდა ამ აღნიშნულისა, არ არის სხვა რამე ნათლად გამოკვეთილი სარგებელი ვდტ ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ქმედებებისა საქართველოს დტ-ის ქსელისათვის ან მეზობელი ქვეყნების დტ-თვის.

10. აღიანსი: საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერის გასაძლიერებლად მტკიცე კავშირების დამყარება.

ვაშლოვანის დტ-ის მეგობრების ასოციაციის დაარსება იყო აღსანიშნავი წარმატებული ქმედება. პროდუქტიული ურთიერთობა ასევე განვითარდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან “არწივის ხეობა”, ხორნაბუჯის ეპარქიასთან, თბილისის ზოოპარკთან (ქურციკების რეინტროდუქციასთან დაკავშირებით) და დედოფლისწყაროს საკრებულოსა და გამგეობასთან.

6. დანართი : ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებული დოკუმენტები

გაეროს განვითარების პროგრამა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – “კლიმატის მეორე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი”, 2009 წ., თბილისი

ევროკავშირი – საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი – FFI და ნაკრესი “ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტრენინგების და რესურსების საჭიროებათა შეფასება”, 2009 წ.

ევროკავშირი - საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი – FFI და ნაკრესი “ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების კომუნიკაციისა და თემთან ურთიერთობის სტრატეგია”, 2010 წ.

ევროკავშირი - საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი - FFI და ნაკრესი “ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებზე ბრაკონიერობასთან ბრძოლისა და დაცვის სტრატეგია”, 2010 წ.

ევროკავშირი - საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი – FFI და ნაკრესი “აღმოსავლეთ საქართველოში მსხვილ მტაცებლებსა და ადამიანებს შორის კონფლიქტის შემცირება – ეტაპი I: კონფლიქტის საფუძვლების კვლევა”, 2010 წ.

ევროკავშირი - საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი – FFI და ნაკრესი “ტრენინგი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერებისთვის”, 2010 წ.

თბილისის ბოტანიკური ბაღი და ბორტანიკის ინსტიტუტი - ლაჩაშვილი ი., ლაჩაშვილი ნ., ხაჩიძე მ., “ქიზიყის (აღმოსავლეთ საქართველო) ფლორის კონსპექტი“, 2007 წ., თბილისი.

MAVA Fondation pour la Protection de la Nature – პროექტი “დაცული ტერიტორიები ცოცხალი პლანეტისთვის – კავკასიის ეკორეგიონი” - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობა - კობახიძე ნ. “საქართველოს დაცული ტერიტორიების ინსტიტუციური საჭიროებების შეფასება” – მომზადებული USDol/ITAP-თან პარტნიორობით, 2009 წ. თბილისი.

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - ACTA CONSULTANTS Ltd. “საპროცესო ჩარჩო დუკუმენტი და გადასახლების გეგმა”, საბოლოო ანგარიში, 2007 წ. თბილისი

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი – აგრო-ბიზნეს კონსალტინგი – “მცირე გრანტების პროგრამის საბოლოო ანგარიში”, 2008 წ., თბილისი.

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ვაშლვანის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006 წ. (დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის №48 ბრძანებით)

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი – ნაკრესი “აღმოსავლეთ საქართველოს

დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევის შედეგები” საბოლოო ანგარიში, 2004 წ. თბილისი.

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - ნაკრესი “ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ტრენინგის მასალები”, 2006 წ. თბილისი;

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - ნაკრესი “ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმძღვანელო აღმოსავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიებისათვის”, 2007 წ. თბილისი;

მსოფლიო ბანკი/გარემოს გლობალური ფონდი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - ნაკრესი “მონაცემთა შეგროვება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის - რეინჯერის სავლე ცნობარი”, 2007 წ. თბილისი.

ნაკრესი - 2005, 2006 და 2007 წლიური ანგარიშები, თბილისი.

ნაკრესი და WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისი - ლეოპარდის (*Panthera pardus*) კონსერვაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2010 - 2014 წწ., 2010 წ. თბილისი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ნ.კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი - ლაჩაშვილი ი., ლაჩაშვილი ნ., ხაჩიძე მ., „ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის (აღმოსავლეთ საქართველო) ფლორის კონსპექტი“, 2004 წ. თბილისი.

ესეფ (ეროვნული სამეცნიერო ფონდი) პროექტი №GNSF/ST-8120/498 - ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი - „სავლე კვლევების ანგარიშის მასალები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე: ტყის იშვიათი და გადაშენებადი სახეობების - ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum*) და თურანულას (*Populus euphratica*) გავრცელების ფარგლების დადგენა” (თარიღი არ არის მითითებული).

ხარაიშვილი გ., ვაჩნაძე გ., სვანიძე მ. “აღმოსავლეთ საქართველოს ჭაღის ტყეების მდგომარეობის და მათი აღდგენის ღონისძიებები”, 2008 წ. თბილისი.

Gavashelishvili, A. & McGrady, M. J. (2006). - Breeding site selection by bearded vulture (*Gypaetus barbatus*) and Eurasian griffon (*Gyps fulvus*) in the Caucasus - Animal Conservation 9.

Gavashelishvili, A. & McGrady, M. J. (2007) - Radio-satellite telemetry of a territorial Bearded Vulture (*Gypaetus barbatus*) in the Caucasus - Vulture News 56.

Gavashelishvili, A. & McGrady, M. J. (2005) - Vulture movements in the Caucasus - Vulture News 53.

Zero Extinction Fund - Doga Dernegi “Urfa Steppes Project”, 2006- 2008 – Turkey.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოუქვეყნებელი ანგარიშები და სხვა დოკუმენტები:

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - 2006 წლის ოპერატიული გეგმა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წლიური ანგარიშები 2007, 2008, 2009 წწ;

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - თვიური ანგარიშები 2010 წლისთვის

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებების თვიური გეგმები და ანგარიშები 2010 წლისთვის

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების “ბუნების მატთანე” 2006, 2007, 2008, 2009 წწ;

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - ყოველწლიური სტატისტიკური ფორმები 2006, 2007, 2008, 2009 წწ;

ვიზიტორთა ქცევის წესები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, 2007 და 2009 წწ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია “ჯეირნის რეინტროდუქციის პროექტი ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე; 2000 წ

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - ქურციკის პოპულაციის აღდგენა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე სამოქმედო გეგმა, 2006 წელი და დანართი I, “1990-92 წლებში განხორციელებული ტრანსლოკაციის შედეგები და ანალიზი”.



**Sustainable Management of Biodiversity
South Caucasus**

Programme Office
Ministry of Environmental Protection
6, Gulua St, 6th. fl
0114 Tbilisi Georgia
T: +995-32-2201828
www.giz.de

© Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH, 2012